

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 25 აპრილს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 30 სექტემბერი



სს „ჯორჯია გლობალ იუტილიტიზ“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა.....	1
1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	1
2. საქმიანობის მიმოხილვა	2
3. ხარისხის მართვა	3
4. ინვესტიციები	4
5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები	4
კორპორატიული მართვის ანგარიშგება.....	5
6. აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები.....	5
7. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი	7
არაფინანსური ანგარიში.....	8
8. არაფინანსური მაჩვენებლები.....	8
9. სოციალური პასუხისმგებლობა.....	8
10. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა.....	8
11. გარემოსდაცვითი საკითხები	8
12. ადამიანთა უფლებების დაცვა	9
13. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	10
14. უსაფრთხო წყალი - უსაფრთხო გარემო.....	10
15. სანიტარული ზონები	10
16. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	10
17. თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა.....	11

საქმიანობის მიმოხილვა

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“, ადრე ცნობილი სახელწოდებით „Multiplex Energy Limited“ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 2007 წლის 15 აგვისტოს დაფუძნებული კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა.

2020 წლის დასაწყისში შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმა“ განახორციელა დაგეგმილი დეოფშორიზაცია (რედომიცილირება), რომლის მიხედვითაც განხორციელდა შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ აქციონერული სტრუქტურის ცვლილება. შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზი“ ჩანაცვლდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზით“, საიდენტიფიკაციო კოდი 404591599 (შემდგომში „GGU“ ან „ჯგუფი“), საქართველოს რეზიდენტი საწარმო, რომელიც 2020 წლის 22 იანვარს დაფუძნდა, როგორც სს „საქართველოს კაპიტალის“ 100%-იან საკუთრებაში არსებული შვილობილი საწარმო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დადგენილების შესაბამისად.

2020 წლის მარტში განხორციელდა შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ლიკვიდაცია.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ გაგრძელებად ითვლება.

2021 წლის 31 დეკემბრის სს „საქართველოს კაპიტალმა“ გააფორმა წილის შესყიდვის ხელშეკრულება სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესში მისი 80%-იანი სააქციო წილის ორეტაპიანი გარიგების გზით FCC „Aqualia“-სთვის (შემდგომში „Aqualia“) მიყიდვის თაობაზე.

2022 წლის 3 თებერვალს, „GCAP“-ის მიერ გაყიდვებიდან შემოსულობის სრულად მიღებით და სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჩვეულებრივი აქციების 65%-ის „Aqualia“-სთვის გადაცემით დასრულდა კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესის გაყიდვის გარიგება. შესაბამისად „Aqualia“ სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ წყალმომარაგების ბიზნესის ახალი მაკონტროლებელი აქციონერი გახდა.

გარიგების მეორე ეტაპი 2022 წლის მესამე კვარტალში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ მიერ გამოშვებული 250 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ევრო ობლიგაციების გამოსყიდვას მოჰყვა, რომელიც დაფინანსდა „Aqualia“-ს და „GCAP“-ის მიერ აქციონერული სესხით „ჯორჯია გლობალ იუთილითიზში“ მათი წილების პროპორციულად. ობლიგაციების გამოსყიდვის და საწარმოს გამოყოფის გზით საოპერაციო განახლებადი ენერგიის აქტივების გაყოფის შემდეგ, „GCAP“-მა აღადგინა ჯგუფის განახლებადი ენერგეტიკული აქტივების სრული მფლობელობა, ხოლო „Aqualia“-ს საკუთრების უფლება კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესში 80%-ით გაიზარდა. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „Aqualia საქართველო“ („Aqualia“-ს შვილობილი საწარმო) და „GCAP“ ფლობენ სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ 80%, და „GCAP“ 20%-ს, შესაბამისად.

2025 წლის ივლისში სს „საქართველოს კაპიტალისგან“ დარჩენილი 20% წილის შესყიდვით შპს „აკვალია საქართველო“ გახდა ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი.

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზ“ არის შემდეგი საწარმოების ჰოლდინგური მშობელი საწარმო (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“):

	რეგისტრაცი- ის ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	საქართველო	25-ივნ-1997	14-მაი-2008	100%	100%
შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“	საქართველო	20-დეკ-1999	14-მაი-2008	100%	100%
შპს „ჯორჯიან ინჟინირინგ ენდ მენეჯმენტ კომპანი“	საქართველო	29-მარ-2011	29-მარ-2011	100%	100%
შპს „საგურამო ენერჯი“	საქართველო	11-დეკ-2008	19-დეკ-2015	100%	100%
შპს „საქართველოს ენერგიით ვაჭრობის კომპანია“	საქართველო	23-აპრ-2019	15-დეკ-2019	100%	100%

სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზ“ ეწევა წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებებს იურიდიული პირებისთვის და მოსახლეობისთვის თბილისში, რუსთავში, მცხეთასა და მიმდებარე სოფლებში. სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზი“ ფლობს და ამუშავებს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზ“ ასევე ფლობდა და ამუშავებდა ჰიდროელექტრო სადგურებს, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებდა საკუთარი მოხმარებისთვის და გასაყიდად.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10.

2. საქმიანობის მიმოხილვა

სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზ“ ბიზნესსაქმიანობის ორი ძირითადი სეგმენტი აქვს: წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურება და ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა. GGU სწევს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებას იურიდიული პირებისა და თბილისის, რუსთავის, მცხეთის და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის, რაც აერთიანებს 1,14 მილიონ რეზიდენტს და 42,560 იურიდიულ პირს. GGU-ს მფლობელობასა და ექსპლუატაციაშია წყლისა და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის აქტივები, რომლებიც წყალმომარაგებასა და წყალარინებაში გამოიყენება. GGU ასევე ფლობს და ამუშავებს ჰიდროელექტროსადგურებს და გამოიმუშავებს ელექტროენერგიას საკუთარი მოხმარებისთვის და გასაყიდად. ჯგუფი ასევე დაკავებულია ელექტროენერგიით ვაჭრობით.

წყალმომარაგება

წყალმომარაგების ტიპებიდან, GGU ჯგუფი ახორციელებს როგორც ზედაპირულ, ისე მიწისქვეშა წყალაღებას.

მოპოვებული წყლის ტრასპორტირება და დაგროვება ხდება 110 სარეგულაციო რეზერვუარში, რომელთა მოცულობა შეადგენს ჯამურად 301,825 მ3-ს. გარდა რეზერვუარებისა, GGU 268 ცალი სატუმბო სადგურით, წნევის მარეგულირებელი სადგურებითა და რეგულატორებით ახორციელებს სასმელი წყლის და წნევის რეგულირებას.

2024 წელს, სათავე ნაგებობიდან (არაგვისხეობა, ღრამღელე, სამგორი, ხრამი) მოპოვებული წყლის რაოდენობამ შეადგინა 527.6 მილიონი მ3, რაც წინა წელთან შედარებით 2.5%-ით ნაკლებია.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ წყლის მოპოვებას, ძირითადად ჟინვალჰესიდან გამოიმუშავებული ელექტროენერგია ხმარდება, რომელიც 2024 წელს 365 მილიონ კვტ-ს შეადგენდა.

ქალაქში შემოსული წყლის განაწილება კი განხორციელდა 4,741.51 კმ სიგრძის წყალმომარაგების ქსელის მეშვეობით.

2. საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

რაც შეეხება წყლის ხარისხს, მისი კონტროლი, მუდმივად, 24 საათის განმავლობაში ხდება საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

ქიმიურ-მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის სპეციალისტების მიერ წყლის ხარისხი უწყვეტად კონტროლდება როგორც სათავე ნაგებობებზე, ისე ქალაქის წყალსადენის ქსელში.

გარდა წყალმომარაგებისა, GGU ახორციელებს ასევე წყალარინების მომსახურებასაც. როგორც სამეურნეო-ფეკალური წყლები, ასევე ატმოსფერული ნალექები 2,527 კმ სიგრძის წყალარინების ქსელით უკავშირდება, გარდაბნის გამწმენდ ნაგებობას, რითაც მაქსიმალურად აღმოიფხვრება მდ. მტკვარში ჩაღვრა.

GGU მუდმივად ახორციელებს ინვესტირებას ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, როგორც სათავე ნაგებობის, ისე გამანაწილებელი და სადისტრიბუციო ქსელების კუთხით, იმ მიზნით რომ შეიქმნას უფრო მეტი წყლის რესურსი, რათა მოსახლეობას უწყვეტი რეჟიმით მიეწოდებოდეს სასმელად ვარგისი წყალი.

ენერგომომარაგება

GGU ჯგუფი ელექტროენერგიას აწარმოებს მის განკარგულებაში არსებული “ჟინვალჰესის”, “თეთრიხევიჰესის”, „საგურამოჰესის“, „ბოდორნაჰესის“, საშუალებით. “ჟინვალჰესის”, გამომუშავებული ელექტროენერგია საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენება და თბილისის წყალმომარაგების ობიექტების ფუნქციონირებას ხმარდება, საკუთარი მოხმარების დაკმაყოფილების შემდეგ მორჩენილი ელექტროენერგია იყიდება. ყველა ელექტროსადგური ჩართულია საქართველოს ერთიან ელექტროსისტემაში.

ჯგუფის ობიექტები - არაგვის ხეობის, სამგორის, და ღრმალელის სათავე ნაგებობები, მძლავრი სატუმბო სადგურები, ადგილობრივი წყლის წნევის გამაძლიერებელი სატუმბო სადგურები, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები, წყლის წნევის რეგულატორები და ჯგუფს სხვა ნაგებობები წელიწადში, საშუალოდ, 165–170 მლნ კვტ.სთ. ელექტროენერგიას მოიხმარს. ქალაქ რუსთავის წყალმომარაგებისათვის ჯგუფი წელიწადში დაახლოებით 30 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიას მოიხმარს, რომლის შესყიდვაც საბითუმო ბაზარზე ხდება საბაზრო ფასად.

3. ხარისხის მართვა

GGU ჯგუფში შემავალი კომპანიების ხარისხის მართვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხორციელდება. ჯგუფმა ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის ISO-9001 სტანდარტის შესაბამისი სერტიფიკატი 2006 წელს მიიღო. ხარისხის მართვის სერტიფიკატის მოპოვება და მისი მოთხოვნების დანერგვა ჯგუფში შემავალ კომპანიებს ავალდებულებს მუდმივად იყოს ორიენტირებული მომსახურების გაუმჯობესებაზე, წარმოების ეფექტურობის ზრდაზე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ოპერაციების წარმართვის მკაფიოდ რეგლამენტირებასა და კომპანიის პერსონალის მოტივირებულ ქმედებებზე.

ხარისხის მართვის სერტიფიკატის შენარჩუნება ეფუძნება ჯგუფის საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს. ამ მიმართულებით GGU აგრძელებს დაგეგმილი პროექტების და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას საბოლოო მიზნის მისაღწევად – თბილისის მოსახლეობის უწყვეტი და ხარისხიანი წყალმომარაგება და წყალარინების სისტემების შეუფერხებლად ფუნქციონირება.

რა თქმა უნდა, აღსანიშნავია წყლის ხარისხის კონტროლი. “ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” სასმელი წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ლაბორატორიები განთავსებულია ღრმალელის, სამგორის, საგურამოსა და ბულაჩაურის სათავე ნაგებობებზე. ყველა ლაბორატორია სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის შესაბამისად არის აკრედიტებული და უწყვეტ რეჟიმში მუშაობს.

ჯგუფის ყველა ლაბორატორიის ფუნქციონირებას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს წყლის ხარისხის მაკონტროლებელი ცენტრალური ქიმიურ-მიკრობიოლოგიური ლაბორატორია (განთავსებულია ღრმალელის სათავე ნაგებობაზე), რომელიც სსტ ისო/იეკ 17025:2005/2010 სტანდარტის შესაბამისი სერტიფიკატსა და აკრედიტაციას 2012 წლიდან ფლობს. ცენტრალური ლაბორატორიის რეაკრედიტაცია 2015 წლის ივნისში მოხდა და მასთან ერთად ყველა ფილიალმა (სამგორის, საგურამოსა და ბულაჩაურის ქიმიური ლაბორატორიები) გაიარა აკრედიტაცია. შემდეგი რეაკრედიტაცია, პირველბმა საქართველოში გაიარეს 2019 წლის ივნისში განახლებული სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის მოთხოვნების შესაბამისად, ამას გარდა ლაბორატორიები გადიან ყოველწლიურ შეფასებას სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის და აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების მოთხოვნების შესაბამისად.

შემდეგი რეაკრედიტაცია, 2023 წლის ივნისში განხორციელდა სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე ლაბორატორიები ყოველწლიურად გადიან შეფასებას სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018-ის აკრედიტაციის სისტემის წესებისა და პროცედურების მოთხოვნების შესაბამისად.

4. ინვესტიციები

2024 წლის განმავლობაში, GGU-მ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა როგორც წყლის, ასევე ენერგეტიკის სექტორში.

წყლის მხარეს ჯგუფმა ინვესტიციები განახორციელა წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების გაუმჯობესებაში. განახლა ამორტიზირებული/ავარიული ქსელი და ინფრასტრუქტურა, რათა უზრუნველყო თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სტაბილური, ხარისხიანი და უწყვეტი წყალმომარაგება; ასევე დაეზოგა ელექტროენერგია და შეემცირებინა წყლის დანაკარგი.

2024 წელს ჯგუფმა დაასრულა ისანი-სამგორის ზონირების პროგრამა, სამომავლოდ იგეგმება დარჩენილი საოპერაციო ცენტრების - ვაკე-საბურთალოს, გლდანი-ნაძალადევის, რუსთავის - ზონირებაც, რაც გულისხმობს თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მიკრო ზონებად დაყოფას, რათა უკეთ მოხდეს წყლის მოხმარების კონტროლი და შემდგომში აღმოიფხვრას წყლის დანაკარგები ქალაქის მასშტაბით.

დამატებით, წყლის აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის 2024 წელს გრძელდებოდა გამრიცხველიანების პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი აგრძელებს ე.წ. ჰკვიანი მრიცხველები, რომელიც უზრუნველყოფს რეალიზებული წყლის ზუსტ აღრიცხვას.

სისტემის გაუმჯობესებისთვის, დამატებით ინვესტიცია განხორციელდა წყალმომარაგების ქსელის ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით, როგორებიცაა რეზერვუარები, სატუმბო სადგურები და სათავე ნაგებობები. მომხმარებლების ეფექტური და ხარისხიანი მომსახურებისთვის კიდევ უფრო დაიხვეწა ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ჯგუფისთვის დამატებით ინვესტიციას წარმოადგენდა. ასევე დამატებითი ინვესტიცია განხორციელდა წყლის ხარისხის კონტროლისა და არსებული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა მსხვილი ინვესტიცია განახორციელა დიდ სარეაბილიტაციო პროექტებში, კერძოდ თბილისში - გახოვძის, ჭავჭავაძის, ტაძრის, ხოლო რუსთავში - ხრამის მაგისტრალური მილსადენის, მეგობრობის გამზირის, გაგარინისა და მშვიდობის ქუჩების რეაბილიტაცია.

ასევე ჯგუფმა განახორციელა წყლის ქსელის გასავითარებლად მნიშვნელოვანი ინვესტიცია, კერძოდ, ტაბახმელას დასახლებაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა.

ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა ინვესტიციები არსებული ინფრასტრუქტურისა და ელ. დანადგარების გასაუმჯობესებლად, განახლდა ჟინვალ ჰესზე არსებული საგენერატორო ამომრთველები და რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყალგამყვანი გვირაბის მონაკვეთს.

GGU ჯგუფი გეგმავს მომავალშიც აქტიურად განაგრძოს მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მაქსიმალურად ბევრი რესურსი ჩადოს ახალ კაპიტალურ პროექტებში, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიანობა.

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

2024 წლის განმავლობაში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ჰქონდა ბიზნეს საქმიანობის ორი მთავარი სექტორი: ა) წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურება და ბ) ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა. სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებებს უწევს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს თბილისში, რუსთავში, მცხეთასა და მიმდებარე სოფლებში. სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზი“ ფლობს და ამუშავებს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის.

2024 წელს შემოსავალი წყლის მიწოდებიდან 2023 წელთან შედარებით 32.7%-ით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 20.9%-ით.

ჯგუფის 2024 წლის საოპერაციო მოგება 2023 წელთან შედარებით 44.7%-ით გაიზარდა.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ აქტივების 78%-ს შეადგენს ძირითადი საშუალებები 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით. ჯგუფი მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს ქსელის რეაბილიტაციაში ქალაქის ფარგლებში და ქსელის განვითარებაში გარეუბნებში.

2024 წლის 25 ივლისს ჯგუფმა გამოუშვა 300 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები: უფროსი, არაუზრუნველყოფილი, აშშ დოლარში გამოხატული 8,875%-იანი მწვანე ობლიგაციები 5-წლიანი არაგაუქმებადი და 2-წლიანი ერთდროული დაფარვის ვადით (შემდგომში „ობლიგაციები“). ობლიგაციების გამოშვება და გაყიდვა განხორციელდა ნომინალური ღირებულებით. ობლიგაციები ირლანდიის საფონდო ბირჟის გლობალურ სავალუტო

5. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები (გაგრძელება)

ბაზარზე კოტირებული და საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოსგან „ფიტჩი“ მიღებული აქვს BB- (სტაბილური) რეიტინგი, ხოლო „S&P“-სგან „BB-“ (დადებითი). ობლიგაციებიდან შემოსულობა გამოყენებული იყო ჯგუფის არსებული აქციონერული სესხის რეფინანსირებისა და წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მომსახურებების კაპიტალური დანახარჯების ფინანსირებისთვის. ობლიგაციები უზრუნველყოფილია სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ერთ-ერთი შვილობილი საწარმოს - შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ. ჯგუფმა გამოსცა 24 მილიონი აშშ დოლარის გამოშვებული ობლიგაციები და არ გეგმავს მათ ბაზარზე გაყიდვას განჭვრეტად მომავალში.

კორპორატიული მართვის ანგარიშგება

6. აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები

სააქციო საზოგადოება „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“-ში მოქმედებს 3 დონიანი კორპორატიული მართვის სისტემა: (i) აქციონერთა საერთო კრება (აქციონერები 2025 წლის ივლისამდე: „ა“ კლასის აქციების მფლობელი აქციონერი შპს „აკვალა საქართველო“ და „ბ“ კლასის აქციების მფლობელი აქციონერი სს „საქართველოს კაპიტალი“, 2025 წლის ივლისიდან შპს „აკვალა საქართველო“ გახდა ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი), რომელიც წარმოადგენს მართვის უმაღლეს ორგანოს, (ii) სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას საზოგადოების საქმიანობაზე და რომლის შემადგენლობაც აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ და (iii) გენერალური დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, უძღვება საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას და რომელსაც ენიჭება საზოგადოების ერთპიროვნული და დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობებში.

(i) აქციონერთა საერთო კრება განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

1. საზოგადოების წესდების დამტკიცება, წესდებაში ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებში და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა;
2. საზოგადოების კაპიტალის ნებისმიერი ცვლილება და ფასიანი ქაღალდების გამოშვების შემთხვევაში, გასაცემი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და თითოეული ფასიანი ქაღალდის ფასი;
3. ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის გამოსყიდვა, შეძენა, რეორგანიზაცია, კონსოლიდაცია, დაყოფა, გაუქმება ან კონვერტაცია ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის უფლების ცვლილება;
4. საზოგადოების რეორგანიზაცია, შერწყმა, გაყოფა, გარდაქმნა ან ლიკვიდაცია;
5. მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან გენერალური დირექტორის წინადადების მიღება ან უარყოფა, ან, როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა ან/და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადის განსაზღვრა;
7. გენერალური დირექტორის, დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება;
8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა;
9. გარე აუდიტორის არჩევა ან/და გათავისუფლება;
10. გადაწყვეტილების მიღება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ (ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით);
11. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებული გენერალური დირექტორისა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკათათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, ბონუსების გაცემის და სხვა წახალისებების დამტკიცება, ასევე მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა;
12. ჯგუფის ნებისმიერი დავალიანება (ნებისმიერი ფორმის და აქციონერთა სესხების ჩათვლით), მათ შორის ასეთ დავალიანებასთან დაკავშირებული პირობებისა და დოკუმენტაციის ჩათვლით, რაც გამოიწვევს ჯგუფის ამ მომენტისთვის დავალიანების წინა ფინანსური წლის წმინდა ვალის/EBITDA თანაფარდობის გადაჭარბებას ოთხჯერ მეტით.
13. „საზოგადოების“ მიერ რაიმე გარანტიის ან ანაზღაურების გაცემა ან რაიმე დატვირთვის/უზრუნველყოფის შექმნა რომელიმე აქციაზე ან მის ნებისმიერ მატერიალურ აქტივზე, გარდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულისა;
14. ნებისმიერი დავალიანება, რომელიც არ არის საბაზრო სტანდარტული პირობებით, მასთან დაკავშირებულ პირობებთან და დოკუმენტაციასთან ერთად;

6. აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები (გაგრძელება)

15. ნებისმიერი აქციონერის სესხი/სავალო ვალდებულება გაცემული ნებისმიერი სახის აქციონერის ან პირის მიერ, რომელიც აკონტროლებს რომელიმე აქციონერს, ჯგუფის რომელიმე კომპანიისთვის, მათთან დაკავშირებულ პირობებთან და დოკუმენტაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი სესხი გაცემულია იმ პირობებით, რომლებიც შეესაბამება მესამე მხარის დაფინანსების საბაზრო სტანდარტულ პირობებს;
16. „საზოგადოების“ ბუღალტრული აღრიცხვის თარიღის ნებისმიერი ცვლილება, გარდა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;
17. „საზოგადოების“ მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა ან/და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილება;
18. რაიმე მოთხოვნის, უარის თქმის, არჩევის ან თანხმობის გაცემა, დაშვება ან ნებართვის გაცემა 1,000,000 აშშ დოლარზე მეტ თანხაზე საგადასახადო მიზნებისთვის;
19. ნებისმიერი ცვლილება სადისტრიბუციო პოლიტიკაში (როგორც ეს განსაზღვრულია „აქციონერთა შეთანხმებაში“);
20. წყალმომარაგების ბიზნესის სახის ან გეოგრაფიული არეალის ნებისმიერი არსებითი ცვლილება;
21. „საზოგადოების“ წყალმომარაგების ან/და ელექტროენერგიის საქმიანობის შეწყვეტა;
22. წყალმომარაგების ბიზნესის ნებისმიერი შვილობილი კომპანიის ნებისმიერი განკარგვა;
23. „საზოგადოების“ მიერ განთავსებული კაპიტალის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი სხვა კომპანიის ბიზნესის შეძენა;
24. „საზოგადოების“ მიერ ნებისმიერ ამხანაგობაში, მოგების განაწილების შეთანხმებაში ან ერთობლივ საწარმოში მონაწილეობა ან ნებისმიერი მონაწილეობის შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში;
25. „საზოგადოების“ ნებისმიერი შვილობილი კომპანიის დაფუძნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში;
26. ნებისმიერი გარიგება „საზოგადოების“ მიერ, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებული პირის გარიგებას;
27. ნებისმიერი ლიცენზიის ან შეთანხმების გაცემა ან გაფორმება რომელიც ეხება „საზოგადოების“ სახელის ნებისმიერ ნაწილს;
28. ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი სამართლებრივი პროცესის წარმართვასთან (მათ შორის მორიგებასთან) პოტენციური პასუხისმგებლობით ან მოთხოვნით, რომელიც აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს, რომლის მხარეს წარმოადგენს „საზოგადოება“;
29. გენერალური დირექტორის ან ფინანსური დირექტორის ანაზღაურების განსაზღვრა „საზოგადოების“ მმართველობითი უფლებამოსილების ფარგლებში, როდესაც ასეთი ანაზღაურება არ წარმოადგენს სტანდარტულ საბაზრო პირობებს საქართველოში მსგავსი კომპანიების მმართველობითი პოზიციებისთვის;
30. ნებისმიერი თანამშრომლის დანიშვნა, ანაზღაურება ან კომპენსაცია, რომელიც არის ან გახდება ჯგუფის 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირიდან ერთ-ერთი (ძირითადი ხელფასის და ნებისმიერი ბონუსის/მსგავსი დისკრეციული ჯილდოს საფუძველზე), თუ არ შეესაბამება საქართველოში არსებულ სტანდარტულ საბაზრო პირობებს, ანალოგიური კომპანიებისთვის მსგავს პოზიციებზე.
31. ჯგუფის 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირიდან ნებისმიერის გათავისუფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პირისთვის განხორციელებული ყველა გადახდა ამ გათავისუფლებასთან დაკავშირებით შეესაბამება მათი შრომის შესაბამის სახელშეკრულებო პირობებს;
32. „საზოგადოების“ კრედიტორებთან რაიმე კომპრომისის ან შეთანხმების მიღწევა, ნებისმიერი განცხადება „საზოგადოების“ აქტივების მიმღების ან ადმინისტრატორის დანიშვნის შესახებ ან „საზოგადოების“ ლიკვიდაცია (ნებაყოფლობით ან იძულებით);
33. „აქციონერთა შეთანხმებით“ განსაზღვრული სხვა აქციონერთათვის მიკუთვნებული გადაწყვეტილებები.

(ii) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან, რომელთაგან 3 (სამს) ნიშნავენ „ა“ კლასის აქციების მფლობელი აქციონერები და 2 (ორს) ნიშნავენ „ბ“ კლასის აქციების მფლობელი აქციონერები. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით, თუმცა, მისი უფლებამოსილება გაგრძელდება ვადის გასვლის შემდგომ საერთო კრების მიერ ახალი წევრის არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია.

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება საზოგადოებამ განხორციელოს შემდეგი საქმიანობა:

1. ფილიალების და შვილობილი საწარმოების დაარსება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
2. „საზოგადოების“ განვითარების სტრატეგიის დადგენა, წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების დამტკიცება;

6. აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები (გაგრძელება)

3. ნებისმიერი ტრანზაქცია, რომელიც არ არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და რომლის ღირებულებაც აღემატება \$500,000 აშშ დოლარს;
4. ნებისმიერი ტრანზაქცია, რომელიც არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და რომლის ღირებულებაც აღემატება \$2,000,000 აშშ დოლარს;
5. ნებისმიერი ტრანზაქცია, რომელიც არ იდება საბაზრო პირობებით და რომლის ღირებულებაც აღემატება \$5,000 აშშ დოლარს;
6. ყიდვა, გაყიდვა, გადაცემა, ლიზინგი, ლიცენზია ან ნებისმიერი ქონების დაქირავება ან იჯარით აღება „საზოგადოების მიერ“ თუ ასეთი ტრანზაქციის ან დაკავშირებული ტრანზაქციების წყების ჯამური ღირებულება აღემატება \$2,000,000, აშშ დოლარს;
7. სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გათავისუფლება;
8. ნებადართული კაპიტალის ფარგლებში ახალი აქციების გამოშვების/განთავსების და „საზოგადოების“ აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
9. საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების გამოსყიდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
10. საზოგადოების გენერალური დირექტორის და სხვა ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, პრემიების/ბონუსების და სხვა წახალისების საშუალებების განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

საზოგადოების მართვის სისტემა ასევე ითვალისწინებს ცალკე სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის საჭიროებას საზოგადოების მიერ დაკავშირებულ პირებთან ნებისმიერი გარიგებების დადებისას, გარდა დაკავშირებულ პირებთან დადებული ხელშეკრულებებისა, რომლებიც წესრიგდება „აქციონერთა შეთანხმებით“.

„დაკავშირებული პირში“ იგულისხმება ნებისმიერ პირი, რომელიც წარმოადგენს (ა) საზოგადოების გამოშვებული აქციების 5%-ის (ხუთი პროცენტის) ან მეტის მფლობელს და/ან სხვაგვარად აკონტროლებს ამგვარ აქციებს, (ბ) საზოგადოების გენერალურ დირექტორს, სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს წევრს ან საზოგადოების სხვა ხელმძღვანელ თანაშრომელს, (გ) კომპანიას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან კონტროლდება საზოგადოების მიერ, ან რომელიც კონტროლდება იმ პირის მიერ, რომელიც აკონტროლებს საზოგადოებას და (დ) ნებისმიერ სხვა პირს (იურიდიულ ან ფიზიკურ პირს), რომელიც მიიჩნევა საზოგადოებასთან დაკავშირებულ პირად შესაბამისი კანონმდებლობით ან/და საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი წესებით.

(iii) საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობის ორგანიზაციის და მართვის მიზნით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს საზოგადოების გენერალური დირექტორს, რომელიც უძღვება საზოგადოების საქმიანობას წესდების მოთხოვნათა შესაბამისად.

საზოგადოების გენერალური დირექტორი ვალდებულია, წესდებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობებთან ერთად, უზრუნველყოს აქციონერთა საერთო კრების ან/და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულება.

7. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებელი არის რეპორტირების დეპარტამენტი. დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს არა მარტო ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლების პრეზენტაცია, არამედ მისი საქმიანობის, საოპერაციო გარემოსა და სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერაც. ჯგუფის მხრიდან კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ადასტურებენ ფინანსური და გენერალური დირექტორები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გადაეცემა გარე აუდიტის წარმომადგენლებს დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსური წლის დახურვის შემდეგ ახორციელებენ GGU-ს პროცედურების, დოკუმენტაციისა და კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლების შემოწმებას.

არაფინანსური ანგარიში

8. არაფინანსური მაჩვენებლები

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ და შპს „რუსთავის წყლის“ აბონენტებს 24 საათის მანძილზე მიეწოდებათ სასმელი წყალი შემდეგი სათავე ნაგებობით: ბულაჩაურის, ნატახტრის, საგურამოს, ღრმაღელის, სამგორისა და ხრამის სათავე ნაგებობებით. 24 საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება 4,741.51 კმ სიგრძის მქონე წყალსადენის ქსელი, 110 რეზერვუარი საერთო მოცულობით 301,825 მ³, 51 სატუმბო სადგური და 217 ადგილობრივი გამამდიერებელი ბუსტერული ტიპის სატუმბო სადგური.

ჯამში სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ აერთიანებს 4 ჰესს, რომელთა საერთო დადგმული სიმძლავრე 149 მეგავატია.

9. სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც GGU ჯგუფის უშუალო საქმიანობას უკავშირდება, თბილისის მოსახლეობისთვის, საბუჯეტო ორგანიზაციებისა და კომერციული სექტორისთვის საიმედო კომუნალური მომსახურების გაწევა, მათი სტაბილური წყალმომარაგება და მათთვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდებაა.

10. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

GGU ჯგუფი აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. GGU ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, აქციონერებს, თანამშრომლებს, კრედიტორებსა და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

GGU სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მხარს უჭერს და მოხმარებული სასმელი წყლის საფასურს უფინანსებს თბილისში რამდენიმე ბავშვთა სახლს, მათ შორისაა: „კავშირი ბავშვი და გარემო“, „პირველი ნაბიჯი საქართველო“, „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ და სხვა. ასევე ბოლო წლებში ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი წყლის საფასურს უფინანსებს „საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირს კათარზის“, რომელიც ზრუნავს სოციალურად დაუცველ ხანდაზმულებზე; „ბავშვთა ჰოსპისს“, რომლის მიზანია პალატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე ბავშვთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ქალაქ მცხეთის უფასო სასადილოს.

GGU თანამშრომლობს ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან, რათა მიიზიდოს ნიჭიერი ახალგაზრდები. ასევე, კავშირი აქვს თავისუფალ უნივერსიტეტთან და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მათ შორის გაფორმებული მემორანდუმით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სტაჟირების პროგრამებში და ისარგებლონ ჯგუფში მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით.

11. გარემოსდაცვითი საკითხები

2022 წლის დეკემბრიდან, GGU ჯგუფში შემავალი კომპანიების ხარისხის მართვა ხორციელდება Aqualia-ს სტანდარტების და GGU ჯგუფის ბიზნეს სპეციფიკის შესაბამისად. 2022 წლის 1 დეკემბერს ჯგუფში შეიქმნა ინტეგრირებული მართვის სისტემების (IMS) დეპარტამენტი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის შექმნით ჯგუფმა გააგრძელა თავისი საქმიანობა მდგრადი განვითარების ინიციატივებისთვის.

ჯგუფში შემავალ კომპანიებში მართვის სისტემების დანერგვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას, ხელს უწყობს ჯგუფში არსებული პროცესების უწყვეტობას, უზრუნველყოფს მდგრადობას და შესრულებული სამუშაოების მუდმივ გაუმჯობესებას, ნერგავს ჯგუფის შენობა-ნაგებობების, ქსელის ინფრასტრუქტურის და ტექნიკა-მოწყობილობების პრევენციული მოვლა-პატრონობის ევროპულ სტანდარტს; უზრუნველყოფს თანამშრომელთა კომპეტენციის გაზრდას და განვითარებას, რაც საბოლოოდ განაპირობებს მომხმარებელთა კმაყოფილების ეტაპობრივ ზრდას.

GGU ჯგუფის ინტეგრირებული მართვის სისტემის მენეჯმენტი ხორციელდება Aqualia-ს საერთაშორისო, ელექტრონულ IMS პლატფორმაზე - GlobalSUITE.

11. გარემოსდაცვითი საკითხები (გაგრძელება)

2023 წელს კომანიამ დაწერა საერთაშორისო საკანონმდებლო პლათფორმა Worldlex.net, რომელიც ჯგუფს მუდმივ რეჟიმში აცნობს განახლებულ საკანონმდებლო ვალდებულებებს, რაც უზრუნველყოფს ჯგუფის სწორ შესაბამისობას კანონმდებლობასთან.

პროგრამული უზრუნველყოფა ასევე საკანონმდებლო შესაბამისობის ანგარიშების მომზადების საშუალებას იძლევა. პლატფორმას გააჩნია მაკორექტირებელი ქმედებების მოდულიც, რომელიც საშუალებას იძლევა იმართოს კანონთან შეუსაბამობები დავალებების მინიჭებით მათ სრულ აღმოფხვრამდე.

აქტიურად გრძელდება 2023 წლიდან ჯგუფში დაწერილი გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების საკითხების შესახებ ინფორმირების მექანიზმის მუშაობა, კერძოდ ჯგუფის ყველა თანამშრომელს მუდმივად მიეწოდება შესაბამისი ინფორმაცია ინტრანეტის საშუალებით.

ჯგუფი დიდ ყურადღებას ანიჭებს გახსნილობას და თანამშრომლობას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებთან და პროგრამებთან. ჯგუფი აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას წყლის რესურსების მართვის და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროგრამებთან და პროექტებთან, რომლებსაც გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. ჯგუფის მიერ სრულად შესრულდა 2023 წლის, ESAP-ით განსაზღვრული ყველა ვალდებულება.

2024 წლის ნოემბერში ჯგუფში ჩატარდა IMS-ის შიდა აუდიტი, რომელიც განხორციელა Aqualia-ს შესაბამისმა სამსახურმა. შიდა აუდიტის მიზანი იყო რუსთავის საოპერაციო ცენტრისთვის ISO 9001:2015; ISO 14001:2015 და ISO 45001:2018 სერთიფიკატების მოპოვების პროცესში გარე აუდიტისთვის მომზადება. შიდა აუდიტის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობების გამოსასწორებლად შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომელიც ინკორპორირებულია Aqualia-ს IMS პლათფორმაზე - GlobalSUITE. გამოსასწორებელი ღონისძიებები განხორციელდა სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

12. ადამიანთა უფლებების დაცვა

ჯგუფში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები. აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტებებს ვრცელი ადგილი ეთმობა შვილობილი კომპანიების შრომის შინაგანაწესში, რომელიც შრომის კოდექსთან ერთად ხელმისაწვდომია ჯგუფის უკლებლივ ყველა თანამშრომლისათვის და განთავსებულია ყველა დიდი ოფისის ფოიეში გამოსაჩენ ადგილას.

GGU ჯგუფი დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

პერიოდულად კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ადამიანური კაპიტალის განვითარების დეპარტამენტი აწყოებს შეხვედრებს მიზნობრივ ჯგუფებთან შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გაგნობის მიზნით, მაგალითად როგორიცაა:

- შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები (უვადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება, მავნე და საშიშპირობებიან საქმიანობაზე დასაქმებული პირებისათვის დამატებითი 10 დღიანი შვებულებით სარგებლობის უფლება).
- დაგროვებითი პენსიის სქემის ამოქმედების და მასში ჩართვის შესახებ.
- შრომის უსაფრთხოების კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ;

13. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

GGU ჯგუფი საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო ანტიკორუფციული მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფის მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

GGU-ს მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის.

წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს, როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით.

კორუფციის და მექრთამეობის რისკები ფასდება რეგულარულად, მექრთამეობის რისკების იდენტიფიცირების, პრიორიტეტის მინიჭების და თავიდან აცილების მიზნით. ჯგუფში დანერგილია შესაბამისი შიდა კონტროლები, ბიზნეს პროცესებში ჩართული თანამშრომლების პასუხისმგებლობა არის გადანაწილებული და არსებობს რამდენიმე დონის კონტროლი. თითოეული მენეჯერი ამოწმებს მისი საქმიანობის სფეროს და ადგენს დარღვევებს/რისკებს.

14. უსაფრთხო წყალი - უსაფრთხო გარემო

GGU ჯგუფი, სამომავლოდ, სასმელი წყლის მიღების მხოლოდ უახლეს და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებს გამოიყენებს, რაც ნედლი წყლის დამუშავების პროცესში მაქსიმალურ ეფექტს იძლევა. იგეგმება წყალარინების (კანალიზაცია) სეგმენტის განვითარება. აღნიშნული გულისხმობს დედაქალაქის ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების მაქსიმალურ გათავისუფლებას ორგანული და არაორგანული დაბინძურებისგან და კომპლექსურად გაწმენდილის დაბრუნებას ბუნებრივ გარემოში.

GGU ჯგუფის გარემოსდაცვითი პრიორიტეტებია:

- სასმელი წყლის ეკოლოგიურად უსაფრთხო გზით მიღება;
- თბილისის ჩამდინარე საკანალიზაციო წყლების ორგანული და არაორგანული დაბინძურებისგან გაწმენდა;
- საკანალიზაციო წყლების მდინარე მტკვარში ჩაღვრის აღკვეთა;
- სანიტარული ზონების მაქსიმალური დაცვა.

15. სანიტარული ზონები

სანიტარული დაცვის ზონები შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ წყლის მარაგებისა და რესურსების დაცვის მიზნით, რომელიც სასმელად, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო და საკურორტო დანიშნულებისთვის გამოიყენება.

16. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება


GGU ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ ამიტომ, თანამშრომლებისთვის პროფესიული გადამზადების არაერთი კურსი ჩატარდა. ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

GGU ჯგუფი ადმინისტრაცია თანამშრომელთა გადამზადებით ქმნის პროფესიონალ კადრებს, რომელთა დახმარებით სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს.

17. თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა

ტექნიკური პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, GGU ჯგუფმა შეიმძინა ევროსტანდარტების შესაბამისი ფრანგული და იაპონური წარმოების კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: საგზაო ბარიერები, ნიშნები და კონუსები, მზის აკუმულატორები, სახანძრო სტენდები ინვენტარით, ელექტროუსაფრთხოების პლაკატები და ნიშნები, აირანალიზატორები ჭებში მომუშავე პერსონალისთვის, პირველადი სამედიცინო დახმარების ავთიაქები, რომლითაც ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება და ობიექტი აღიჭურვა.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:



ხოსე მიგელ სანტოს გონზალესი
გენერალური დირექტორი

სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	14
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება	15
6. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ	17
7. ძირითადი საშუალებები	21
8. საინვესტიციო ქონება	23
9. სხვა აქტივები	24
10. მარაგები.....	24
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
12. საკუთარი კაპიტალი	26
13. ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	27
14. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები.....	29
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
16. ამონაგები წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან.....	31
17. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან.....	31
18. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	31
19. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	31
20. პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	31
21. სხვა შემოსავალი.....	32
22. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	32
23. ფინანსური დანახარჯები	32
24. პირობითი ვალდებულებები.....	33
25. ფინანსური ინსტრუმენტები	33
26. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჯორჯია გლობალ იუტილიტიზის“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ჯორჯია გლობალ იუტილიტიზის“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტორული პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტის ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მრიცხველიანი წყალმომარაგებიდან ამონაგების აღიარება	
ამონაგები მრიცხველიანი წყალმომარაგებიდან ჯგუფის ამონაგების მთავარ წყაროს წარმოადგენდა 2024 წელს.	ჩვენ ჩავატარეთ წყლის მოხმარების ანალიზი ხელმძღვანელობის, მათ შორის მიწოდებულ, მაგრამ აღურიცხავ მოცულობებთან დაკავშირებული ვარაუდების შეფასების მიზნით. ჩვენ შევადარეთ მიწოდებული, მაგრამ აღურიცხავი მოცულობები განვლილი პერიოდების ინფორმაციას. ჩვენ გადავთვალეთ აღურიცხავი ამონაგების კორექტირება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
ამონაგების აღიარება მრიცხველიანი წყალმომარაგებიდან ჩვენი აუდიტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, აღიარებული ამონაგების მნიშვნელოვანი რაოდენობის, მომხმარებლების რაოდენობისა და ხელმძღვანელობის განსჯის დონიდან გამომდინარე, რომელსაც ის იყენებს მიწოდებული, მაგრამ აღურიცხავი მოცულობების შეფასებაში.	შევაფასეთ ამონაგებთან დაკავშირებით ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა.
მრიცხველიანი წყალმომარაგებიდან მიღებულ ამონაგებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები შესულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 და მე-16 განმარტებით შენიშვნებში.	ჩავატარეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ამონაგებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ანალიზი.

აუდიტის ძირითადი საკითხი

როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში

ინფრასტრუქტურული აქტივების არსებობა და შეფასება

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი მთლიანი აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ძირითადი საშუალებების ნაშთის მნიშვნელოვანი წილი წარმოდგენილია მიწისქვეშა ინფრასტრუქტურული აქტივებით, რომლებიც ხელმიუწვდომელია ფიზიკური დათვალიერებისთვის.

ეს საკითხი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, მიწისქვეშა აქტივებზე ფიზიკური წვდომის სირთულიდან გამომდინარე.

ამასთან, ინფრასტრუქტურულ აქტივებთან დაკავშირებით ჯგუფმა მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები გასწია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულთა გასამრჯელოების კაპიტალიზაციით არის წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, ეს საკითხი არის აუდიტის ძირითადი საკითხი, მისი სუბიექტური ხასიათიდან და ხელმძღვანელობის შესაძლებლობიდან გამომდინარე განხორციელოს საქმიანობის შედეგების მანიპულირება სარემონტო სამუშაოების ზედმეტი კაპიტალიზაციის გზით, რომლებიც არ ექვემდებარება ბასს (IAS) 16-ის („ძირითადი საშუალებები“) კაპიტალიზაციის მოთხოვნებს.

შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები შესულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 და მე-7 განმარტებითი შენიშვნებში.

ჩვენ შევადარეთ ინფორმაცია პერიოდის განმავლობაში აგებული მიწისქვეშა აქტივების შესახებ შესაბამის ადგილმდებარეობებზე მომხმარებელთა აღრიცხვის სისტემებიდან მიღებულ ინფორმაციასთან. შევაფასეთ შიდა კონტროლები აღრიცხვის სისტემასა და ძირითადი საშუალებების რეესტრს შორის მისამართების დამთხვევასთან დაკავშირებით. 2024 წელს მიწისქვეშა ინფრასტრუქტურული აქტივების შესყიდვებისთვის, შერჩევით საფუძველზე, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული შესყიდვების თვითღირებულება დამხმარე დოკუმენტებს შევადარეთ.

განვახორციელეთ კაპიტალური დანახარჯების ანალიზი და მათთან დაკავშირებით გამოვკითხეთ ჯგუფის წარმომადგენლები. შევაფასეთ კაპიტალიზაციასთან დაკავშირებით ჯგუფის პოლიტიკა და ხელმძღვანელობის მიერ მიმდინარე პერიოდის კაპიტალიზაციების დოკუმენტირებული შეფასება. კაპიტალური დანახარჯების თითოეული ტიპისთვის შერჩევით საფუძველზე შევამოწმეთ დამხმარე მტკიცებულებები. შევაფასეთ ბასს (IAS) 16-ის კაპიტალიზაციის კრიტერიუმები ამგვარ მუხლებთან მიმართებით.

აუდიტის ძირითადი საკითხი

როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში

ობლიგაციების გამოშვება

გამოშვებული ობლიგაციები წარმოადგენს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ვალდებულებების არსებით ნაწილს. 2024 წელს ჯგუფმა გამოუშვა საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე კოტირებული ობლიგაციები.

გამოშვებული ობლიგაციების მნიშვნელოვანმა ნაშთებმა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის და ამორტიზებული ღირებულების შეფასების სირთულემ ობლიგაციების გამოშვების აღრიცხვა ჩვენი აუდიტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ძირითად საკითხებად აქცია.

გამოშვებული ობლიგაციების შესახებ ინფორმაცია შესულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში.

ჩვენ ჩავატარეთ გამოშვებული ობლიგაციების პირობების ანალიზი, თანხების, საპროცენტო განაკვეთების, ვალუტის, გადახდის გრაფიკის და ფინანსური და არაფინანსური გარანტიების ჩათვლით.

ჩვენ განვახორციელეთ ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობის შეჯერება დამხმარე დოკუმენტებთან.

შევაფასეთ ობლიგაციების საბალანსო ღირებულებასა და დაანგარიშების ეფექტური საპროცენტო განაკვეთში შესული გარიგების დანახარჯები. გადავითვალეთ გამოშვებული ობლიგაციების ამორტიზებული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის ფინანსური დანახარჯები და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი.

შევაფასეთ ვალდებულებებთან შესაბამისობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩავატარეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვებულ ობლიგაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების ანალიზი.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ინდივიდუალური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;
- ▶ ჯგუფის აუდიტის დაგეგმვა და განხორციელება, საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოს ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ გავლენას ახდენს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, ასევე გამოყენებული საფრთხის აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებების ან დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დმიტრო იურგელევიჩი.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 25 აპრილი

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	973,876	843,439
საინვესტიციო ქონება	8	11,358	9,297
აქტივების გამოყენების უფლება		991	1,648
რესტრუქტურული საგაჭრო მოთხოვნები	11	79	155
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9	7,337	5,452
სულ გრძელვადიანი აქტივები		993,641	859,991
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	8,010	6,942
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	27,368	23,801
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		76	467
ანაზღაურებადი აქტივები	24	1,900	1,900
გადახდილი ავანსები		1,673	3,194
ანაზღაურებადი ბანკში	25	169,383	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25	50,029	7,282
სულ მოკლევადიანი აქტივები		258,439	43,586
სულ აქტივები		1,252,080	903,577
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	84,666	84,666
გამოსყიდული აქციები	12	(15,875)	(15,875)
დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი და			
სხვა რეზერვები	12	15,021	15,021
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	12	4,385	4,385
გაუნაწილებელი მოგება		264,147	201,792
სულ საკუთარი კაპიტალი		352,344	289,989
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	13	767,038	2,604
გადავადებული ამონაგები	14	39,027	32,054
საიჯარო ვალდებულებები		854	1,512
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		154	152
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		807,073	36,322
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	13	29,772	509,295
მიღებული ავანსები	14	27,115	26,252
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	15	19,733	28,423
ანარიცხები ვალდებულებებისა და დანარიცხებისთვის	24	5,275	6,868
გადავადებული ამონაგები	14	7,356	6,261
საიჯარო ვალდებულებები		146	152
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		3,266	15
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		92,663	577,266
სულ ვალდებულებები		899,736	613,588
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,252,080	903,577

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ სახელით 2025 წლის 25 აპრილს:

ხოსე მიგელ სანტოს გონზალესი

ადმინისტრაციული დირექტორი

5-35 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	973,876	843,439
საინვესტიციო ქონება	8	11,358	9,297
აქტივების გამოყენების უფლება		991	1,648
რესტრუქტურული საავაჭრო მოთხოვნები	11	79	155
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9	7,337	5,452
სულ გრძელვადიანი აქტივები		993,641	859,991
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	8,010	6,942
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	27,368	23,801
ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		76	467
ანაზღაურებადი აქტივები	24	1,900	1,900
გადახდილი ავანსები		1,673	3,194
ანაზღაურებადი ავანსები	25	169,383	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25	50,029	7,282
სულ მოკლევადიანი აქტივები		258,439	43,586
სულ აქტივები		1,252,080	903,577
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	84,666	84,666
გამოსყიდული აქციები	12	(15,875)	(15,875)
დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი და სხვა რეზერვები	12	15,021	15,021
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	12	4,385	4,385
გაუნაწილებელი მოგება		264,147	201,792
სულ საკუთარი კაპიტალი		352,344	289,989
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	13	767,038	2,604
გადავადებული ამონაგები	14	39,027	32,054
საიჯარო ვალდებულებები		854	1,512
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		154	152
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		807,073	36,322
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	13	29,772	509,295
მიღებული ავანსები	14	27,115	26,252
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	15	19,733	28,423
ანარიცხები ვალდებულებებისა და დანარიცხებისთვის	24	5,275	6,868
გადავადებული ამონაგები	14	7,356	6,261
საიჯარო ვალდებულებები		146	152
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		3,266	15
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		92,663	577,266
სულ ვალდებულებები		899,736	613,588
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,252,080	903,577

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „ჯორჯია გლობალ იუთილიტიზის“ სახელით 2025 წლის 25 აპრილს:

ხოსე მიგელ სანტოს გონზალესი

აღმასრულებელი დირექტორი

5-35 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან	16	253,406	190,969
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	17	34,756	28,747
სხვა ამონაგები		1,187	611
სულ ამონაგები, შემოსავალი და შემოსულობა		289,349	220,327
ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები		(20,840)	(23,574)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	18	(33,545)	(27,637)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	11	(15,076)	(7,314)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(8,355)	(9,487)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(6,203)	(5,631)
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	20	(3,471)	(3,045)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალა		(3,728)	(3,638)
ტექნომომსახურების დანახარჯი		(2,905)	(2,660)
ანარიცხების (დარიცხვა) გაუქმება და სასამართლო დავებთან დაკავშირებული ხარჯები		731	(913)
სხვა საოპერაციო ხარჯები	22	(15,716)	(12,444)
სხვა შემოსავალი	21	4,522	3,698
		(104,586)	(92,645)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		184,763	127,682
ფინანსური შემოსავალი		4,664	2,094
ფინანსური დანახარჯები	23	(52,752)	(34,330)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(23,414)	(162)
ცვეთა და ამორტიზაცია		(51,610)	(42,898)
წმინდა შემოსულობა (ზარალი) ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან და გასვლიდან		704	(2,974)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		62,355	49,412
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		62,355	49,412
სხვა სრული შემოსავალი		–	–
სულ სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		62,355	49,412

5-35 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გამოსყიდული აქციები	დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი და სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,666	(15,875)	15,021	152,380	4,385	240,577
წლის მოგება	–	–	–	49,412	–	49,412
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	–	49,412	–	49,412
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,666	(15,875)	15,021	201,792	4,385	289,989
წლის მოგება	–	–	–	62,355	–	62,355
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	–	62,355	–	62,355
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,666	(15,875)	15,021	264,147	4,385	352,344

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		62,355	49,412
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		51,610	42,898
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	11	15,076	7,314
ანარიცხების (გაუქმება) დარიცხვა და სასამართლო დავებთან დაკავშირებული ხარჯები		(731)	913
წმინდა (შემოსულობა) ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან და გასვლიდან		(704)	2,974
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან შემოსულობა	8	(1,883)	(1,930)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		23,414	162
ფინანსური შემოსავალი		(4,664)	(2,094)
ფინანსური დანახარჯები	23	52,752	34,330
სხვა კორექტირებები		1,598	-
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილება</i>			
ცვლილება მარაგებში		(1,068)	(1,166)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(18,529)	(9,677)
ცვლილება ანაზღაურებად აქტივებში	24	-	(1,900)
ცვლილება ავანსად გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		391	(449)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		1,521	(1,655)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(2,642)	4,500
ცვლილება გადავადებულ ამონაგებში - მოკლევადიანი წილი		1,095	766
ცვლილება მიღებულ ავანსებში		863	9,977
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		3,251	(2,445)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილების შემდეგ		183,705	131,930
ცვლილება გადავადებულ ამონაგებში - გრძელვადიანი წილი		6,973	2,257
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		190,678	134,187
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების შეძენა		(191,648)	(193,563)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		1,255	200
გადატანა ანაზღაურებ ბანკში		(380,769)	-
უკუგება ბანკში არსებულ ანაზღაურებზე		218,361	-
მიღებული პროცენტი		3,686	1,891
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(349,115)	(191,472)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი წილის გადახდა		(1,139)	(735)
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან და გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	13	826,328	37,355
ნასესხები სახსრების დაფარვა	13	(618,044)	(118)
გადახდილი პროცენტი	13	(5,868)	(8,850)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		201,277	27,652
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(93)	6
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		42,747	(29,627)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	25	7,282	36,909
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	25	50,029	7,282

2024 წელს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვაში შესული იყო შემდეგი არაფულადი ერთეულები: ცვლილება გადახდილ ავანსებში და გრძელვადიანი აქტივების ვალდებულებებში შესაბამისად იყო 451 ლარი (2023 წ.: 2,087 ლარი) და 11,040 ლარი (2023 წ.: 12,230 ლარი), ხოლო კაპიტალიზებულმა დარიცხულმა პრემიებმა და კაპიტალიზებულმა ნასესხებმა სახსრებმა 2,611 ლარი და 144 ლარი (2023 წ.: 1,446 ლარი და 218 ლარი) შეადგინა, შესაბამისად.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“, ადრე ცნობილი სახელწოდებით „Multiplex Energy Limited“ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე 2007 წლის 16 აგვისტოს დაფუძნებული კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა.

2020 წლის დასაწყისში შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზმა“ განახორციელა დაგეგმილი დეოფშორიზაცია (რედომიცილირება), რომლის მიხედვითაც განხორციელდა შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ აქციონერული სტრუქტურის ცვლილება. შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ ჩანაცვლდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზით“, საიდენტიფიკაციო კოდი 404591599 (შემდგომში „GGU“ ან „კომპანია“), საქართველოს რეზიდენტი საწარმო, რომელიც 2020 წლის 22 იანვარს დაფუძნდა, როგორც სს „საქართველოს კაპიტალი“ 100%-იან საკუთრებაში არსებული შვილობილი საწარმო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დადგენილების შესაბამისად.

2020 წლის მარტში განხორციელდა შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ლიკვიდაცია.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ შპს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ გაგრძელებად ითვლება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „FCC Aqualia S.A.“-ს („საბოლოო მშობელი საწარმო“) შვილობილი საწარმო შპს „აკვალა საქართველო“ („უშუალო მშობელი საწარმო“) და სს „საქართველოს კაპიტალი“ („GCAP“) შესაბამისად ფლობდნენ სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ 80% და 20%-იან წილებს.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ არის შემდეგი საწარმოების ჰოლდინგური მშობელი საწარმო (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“):

	რეგისტრაცი- ის ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	საქართველო	25-ივნ-1997	14-მაი-2008	100%	100%
შპს „გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა“	საქართველო	20-დეკ-1999	14-მაი-2008	100%	100%
შპს „ჯორჯიან ინჟინირინგ ენდ მენეჯმენტ კომპანია“	საქართველო	29-მარ-2011	29-მარ-2011	100%	100%
შპს „საგურამო ენერჯი“	საქართველო	11-დეკ-2008	19-დეკ-2015	100%	100%
შპს „საქართველოს ენერგოით ვაჭრობის კომპანია“	საქართველო	23-აპრ-2019	15-დეკ-2019	100%	100%

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ ეწევა წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებებს იურიდიული პირებისთვის და მოსახლეობისთვის თბილისში, რუსთავეში, მცხეთასა და მიმდებარე სოფლებში.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ ფლობს და ამუშავებს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ ასევე ფლობდა და ამუშავებდა ჰიდროელექტრო სადგურებს, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებდა საკუთარი მოხმარებისთვის და გასაყიდად.

სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელის ს ქ. #10.

2. მომზადების საფუძველი

ჯგუფის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული და 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (ფასიკ) ინტერპრეტაციების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა, რომელიც სამართლიანი ღირებულებით შეფასდა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა****ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება**

რამდენიმე ცვლილებას და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს, თუმცა მათ არ აქვთ გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ განხილულისა:

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში

ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იყენებს გამყიდველი-მოიჯარე ყიდვა-გაყიდვის და უკუიჯარის ოპერაციებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოს ის, რომ მყიდველმა-მოიჯარემ არ აღიაროს შემოსულობის ან ზარალის ისეთი თანხა, რომელიც მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას უკავშირდება. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები - ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. ცვლილებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ასახული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამყდენოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში. ცვლილებებს არსებითი გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. მე-13 შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ჯგუფის იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მომავალი შეთანხმების საგანს წარმოადგენენ.

მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები

ბასს (IAS) 7-ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“)

ცვლილებები: მიმწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. ცვლილებებში განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში. ცვლილებებს გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ბასს (IAS) 21-ის ცვლილებები: ურთიერთგაცვლის არარსებობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და შემდგომი ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის);

2023 წლის აგვისტოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოუშვა ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია, თუმცა, საჭირო იქნება ამ ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება.

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს (IFRS) 18: „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“ (ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს დაწყებული და შემდგომი საანგარიშგებო პერიოდებისთვის);

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასსს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასსს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზღაურებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებებიც.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გამჟღავნებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის ჯგუფი მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის აღმოჩენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

- ფასს (IFRS) 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის).

2024 წლის მაისის თვეში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც უფლებამოსილ საწარმოს საშუალებას აძლევს აირჩიოს გამოიყენოს ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდული მოთხოვნები და ამავდროულად გამოიყენოს აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები სხვა ფასს (IFRS) სააღრიცხვო სტანდარტებში. უფლებამოსილებისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

ფასს (IFRS) 19 ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ჯგუფი არ არის უფლებამოსილი მიიღოს ფასს (IFRS) 19, რადგან ის არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტი და შესაბამისად აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება. ჯგუფი განაგრძობს მისი უფლებამოსილების სტატუსის მონიტორინგს, სტანდარტის ამოქმედების თარიღისთვის.

ჯგუფი აფასებს შეცვლილი სტანდარტების და ცვლილებების გავლენას.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება პროცენტის გათვლის მეთოდის გამოყენებით პერიოდების გადანაგარიშებით, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული გაერთიანების განხორციელებამდე.

შემენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარებულია საბალანსო ღირებულებით გაერთიანების ასახვისთვის, როგორც ეს წარმოიქმნებოდა წარმოდგენილი უადრესი პერიოდის დაწყებიდან და გაერთიანების თარიღში სამართლიანი ღირებულების ასახვისთვის კორექტირება არ განხორციელებულა. სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა შემენილ აქტივებს შორის აღირიცხება საკუთარი კაპიტალის კორექტირების სახით. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანების შედეგად გუდვილი არ აღიარებულა.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორც არის წარმოებული ინსტრუმენტები და არაფინანსურ აქტივებს, მაგალითად საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების 25-ე შენიშვნაშია განხილული.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიდგომა, ჯგუფი თავდაპირველად ფინანსურ აქტივს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება გარიგების დანახარჯები, თუ ფინანსური აქტივები არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა არ გამოიყენა პრაქტიკული მიდგომა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ის საფუძველზე განსაზღვრული გარიგების ფასით.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ჯგუფის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და საბანკო ანაზღაურებს.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით.

მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. თავისი სავაჭრო მოთხოვნების უმრავლესობისთვის ჯგუფი აქტივების გაუფასურებას აფასებს კოლექტიურ საფუძველზე, ვადაგადაცდილებული დღეების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით. აქტივი მიიჩნევა გაუფასურებულად, თუ მას აქვს 90 ან მეტდღიანი ვადაგადაცდილება. გაუფასურების სხვა მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია;
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს კონტრაქტზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში, როგორც გაუფასურების გაუქმება.

რეგულარულად ხდება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების განსაზღვრისთვის, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

მე-11 განმარტებით შენიშვნაში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერასთან დაკავშირებით განხორციელებული შეფასებისა და განსჯის შესახებ.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

უიმედო აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მიხედვით, მას შემდეგ, რაც განხორციელდება აქტივის აღდგენისთვის საჭირო პროცედურები და განისაზღვრება ზარალის თანხა. ამასთან, მომხმარებელმა შესაძლოა წარადგინოს განაცხადი მარეგულირებელთან („სემეკი“) 3 წელზე მეტი ვადაგადაცდილების მქონე მოთხოვნის აღიარების შესაწყვეტად. სემეკის მიერ ამგვარი განაცხადის დამტკიცების შემთხვევაში, ჯგუფმა სამართლებრივად უნდა შეწყვიტოს შესაბამისი მოთხოვნის აღიარების შეწყვეტა. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)***ფინანსური ვალდებულებები*

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები, სავალო ფასიანი ქაღალდები და სავაჭრო და სხვა ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. არსებული ფინანსური ვალდებულების იმავე კრედიტორის მიმართ არსებითად განსხვავებული პირობების მქონე (როგორც არის მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სადაც თავდაპირველი ვალდებულების საბალანსო ღირებულება 10%-ზე მეტით განსხვავდება) სხვა ვალდებულებით ჩანაცვლების შემთხვევაში, ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად არის მოდიფიცირებული (მაგალითად, ვალუტის გამოხატვის ცვლილება, საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის საფუძვლის ცვლილება ფიქსირებულიდან მცოცავზე, ან პირიქით, ან საკუთარი კაპიტალის კონვერსია), ამგვარი ცვლილება ან მოდიფიცირება მიიჩნევა თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების რეგისტრაციად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში მოგება-ზარალში აღიარდება.

ძირითადი საშუალებები

წყლის ინფრასტრუქტურის აქტივები შედგება სისტემების ქსელისგან, რომელიც ნედლი წყლის მილსადენებისგან, წყალსადენებისა და კანალიზაციებისგან შედგება, გამდინარე ან გადაქაჩული წყლის საცავი რეზერვუარებისა და სალექი მილსადენებისგან. საინვესტიციო დანახარჯი ქსელის სიმძლავრის ზრდასთან ან გაუმჯობესებასთან და აქტივის საოპერაციო სიმძლავრის შენარჩუნების მიზნით აქტივის ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურულ აქტივებზე, განისაზღვრება, როგორც შესყიდვა და თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება, ხოლო რემონტისა და ტექმომსახურების დანახარჯები, რომლებიც არ აძლიერებენ აქტივის ბაზას, დაირიცხება საოპერაციო ხარჯის სახით. შესყიდვის ფასთან ერთად, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება, მათ შორის დაუმთავრებელი აქტივები, მოიცავს პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯები მოიცავს ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სხვა შესაბამისი ექსპერტების მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებას და შიდა დანახარჯების გადანაწილებას.

ჯგუფი ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც ძირითადად შედგება ადმინისტრაციული შენობებისა და საოპერაციო ობიექტებისგან. ძირითადი საშუალებების ყველა კატეგორია აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისთვის. ამორტიზებული ღირებულების ცვეთა (რომელიც განისაზღვრება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულებით) დაანგარიშდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
უძრავი ქონება	60 წლამდე
ინფრასტრუქტურული აქტივები	5–45 წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5–10 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5–10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც ჯგუფი აქტივის გასვლიდან მიიღება, გასვლის სავარაუდო დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის. ჯგუფის ძირითადი საშუალებების უმრავლესობის ნარჩენი ღირებულება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გარდა ნულით შეფასდა.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია მიწის ნაკვეთით და შენობა-ნაგებობებით, რომლებიც არ არის დაკავებული შემდგომი მოხმარებისთვის ჯგუფის მიერ ან მისი ოპერაციებისთვის და არ იყიდება ჩვეული საქმიანობის პროცესში, მაგრამ მეტწილად მათი ფლობა ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივე მიზნით. საინვესტიციო ქონება ასევე მოიცავს განუსაზღვრელი მომავალი სარგებლობისთვის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთს.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი საოპერაციო დანახარჯებსაც მოიცავს. საწყისი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რაც ასახავს საანგარიშგებო თარიღში ბაზრის მდგომარეობას. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი შესულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც ისინი წარმოიშვა და აისახება სხვა შემოსავალში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა მათზე ინფორმაცია წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. თუ მოსალოდნელი გახდება ფულადი ნაკადების გადინება, ჯგუფი შესაბამის ანარიცხებს აღიარებს ვალდებულებებზე და დაარიცხავს ანარიცხებზე. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სანამ პრაქტიკულად აშკარა არ იქნება ანაზღაურება (რასაც ჩვეულებრივ აქვს ადგილი სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ანაზღაურებისას) და წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი.

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება წყლის ზენორმატიული დანაკარგები. სემეკის მიერ გამოქვეყნებული რეგულაციის მიხედვით, ნორმატიული დანაკარგების ზღვარი გაიზარდა და ამიტომ ჯგუფი არ მოელის შესაბამისი გადასახადების დაკისრებას. მიიჩნევა, რომ ასეთი გარიგებების დაბეგვრა არ ექვევება ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალში და აღირიცხება, როგორც სხვა ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილ საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული მიმდინარე ანგარიშებისა და მოთხოვნამდე ანაზღაურებისგან, საწყისი დაფარვის სამთვლიანი ან ნაკლები ვადით, რომლებსაც ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანაზრები ზანკში

2024 წლის მდგომარეობით ჯგუფს რამდენიმე ანაზარი ჰქონდა ადგილობრივ კომერციულ ბანკებში, რომელთა ვადები ერთიდან სამ თვემდე მერყეობდა. ამ საბანკო ანაზრებზე განთავსებული თანხები არ მიიჩნეოდა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაწილად, რადგან ანაზრები სავარაუდოდ გახანგრძლივდება ვადის დადგომისას და მათი ფლობის მიზანი არ არის ლიკვიდობის მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა.

სააქციო კაპიტალი

ჯგუფის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია ჯგუფის წესდებაში. ჯგუფის საკუთარ კაპიტალში ავტორიზებული კაპიტალი აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალი, მისი გადახდის ფარგლებში. გამოსყიდული აქციები განცალკევებით არის წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“, 18% საქართველოში) წარმოადგენს ვალდებულებას საგადასახადო უწყებების მიმართ, როდესაც ხდება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

ვალდებულებების ანარიცხები და ანარიცხების დარიცხვა

ვალდებულებების ანარიცხები განუსაზღვრელი ვადების და ოდენობის მქონე არაფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა, როგორც არის ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლო დავების შემთხვევაში.

თუ ჯგუფი მოელის ანარიცხის ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია, რაც ჩვეულებრივ წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც ჯგუფი ფლობს მოქმედ სადაზღვევო ხელშეკრულებას.

ჩვეული საქმიანობის პირობებში ჯგუფი წარმოადგენს მხარეს სასამართლო პროცესებში. საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული ჯგუფის მიმართ რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, გარდა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხებში აღიარებულისა.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასს სტანდარტებში და ჯგუფი მას განსაზღვრავს, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე, რომელიც მიიღება, როგორც ჯგუფის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, ფინანსური დანახარჯები, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი, ფინანსური ვალდებულების დაფარვით გამოწვეული ზარალი, ევრო ობლიგაციების რეფინანსირებასთან დაკავშირებული შეფასებების ხელახლა შეფასება და არარეგულარული ხარჯები.

*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)****სამუშაო ვალუტა და უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია**

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ასევე კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტაა.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო სხვაობით განპირობებულ ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 ევროს ღირებულება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2,9306 ლარი და 2,9753 ლარი, შესაბამისად. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსით 1 აშშ დოლარის ღირებულება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.8068 ლარი და 2.6894 ლარი, შესაბამისად.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას იმ ოდენობით, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების დაპირების სანაცვლოთ. ჯგუფის ამონაგების მთავარ კლასებზე ასევე ვრცელდება შემდეგი კონკრეტული პრინციპები:

ამონაგები წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან

ამონაგები წყალმომარაგებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში მომხმარებლისთვის წყლის მიწოდების ერთი შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილებისას. მომხმარებლებზე აღრიცხული თანხები მოიცავს წყალმომარაგების საფასურს, ასევე მიერთების და წყლის მრიცხველების მონტაჟის ღირებულებას, შემდეგი სახით.

ამონაგები იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება კომერციულ მომხმარებლებს, წყლის მრიცხველით აღრიცხული და მოსალოდნელი მოხმარების საფუძველზე, ასევე მიწოდებული წყლის ერთი ერთეულის მომსახურების შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. მრიცხველის წაკითხვა ციკლურად ხორციელდება და ჯგუფი დაურიცხავი თანხებისთვის ამონაგების აღიარებას ახორციელებს ბოლო გადასახადიდან ფინანსური წლის ბოლომდე განსაზღვრული წყლის სავარაუდო მოხმარების საფუძველზე.

ამონაგები მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს (გამრიცხველიანებული), წყლის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე, ასევე მიწოდებული წყლის ერთი ერთეულის მომსახურების შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. არა გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ამონაგების აღიარება ხდება შესაბამისი ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ ერთ მისამართზე რეგისტრირებული მაცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით, თვეში ერთ სულ მოსახლეზე დადგენილი ტარიფის გამოყენებით.

წყლის მრიცხველების მონტაჟის ღირებულება მოიცავს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე აღრიცხულ თანხებს სემკ-ის წესების საფუძველზე. ასეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილდება დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჯგუფი შესაბამის მომხმარებელს მიაწვდის წყალს, ხოლო ამონაგები აღიარდება მომსახურების პერიოდის განმავლობაში. მრიცხველების მოსალოდნელი მომსახურების პერიოდად განსაზღვრულია 10 წელი. ამონაგები აღიარდება შესაბამისი დროის განმავლობაში.

ქსელზე მიერთების მომსახურების ღირებულება მოიცავს მომხმარებლების წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებისთვის და მათთვის წყალმომარაგებაზე წვდომის მინიჭებისთვის წინასწარ დარიცხულ არდაბრუნებად თანხებს. მიერთების ღირებულება აღიარდება ამონაგებად წყალმომარაგებიდან დროთა განმავლობაში, შესაბამისი მომხმარებლისთვის წყლის მიწოდების შესასრულებელი ვალდებულების შესრულებასთან ერთად, წყლის მრიცხველების მუშაობის პერიოდში.

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან აღიარდება გადაცემული და აღრიცხული ელექტროენერგიის საფუძველზე და მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გამოყენებით. მომხმარებლები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლომდე.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)***შემოსავალი უკანონო მიერთების მომსახურებებზე დაკისრებული ჯარიმებიდან*

უკანონო მიერთების მომსახურებებზე საჯარიმო შემოსავალი მოიცავს შეთანხმებული საქმიანობით გამოვლენილი უკანონო მიერთების გამო მომხმარებლებზე აღრიცხულ საურავებს. აღრიცხული თანხები განისაზღვრება სემეკის მიერ დადგენილი ტარიფებით. საჯარიმო შემოსავალი უკანონო მიერთებების მომსახურებებზე შესულია კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგების სხვა შემოსავალში (21-ე განმარტებითი შენიშვნა).

ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები (გაგრძელება)

ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები მოიცავს გარანტირებული სიმძლავრის, ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეჩერიზაციის, ასევე სადგურების ტექნომსახურების დანახარჯებს.

4. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს ან ერთობლივად გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არა დაკავშირებულ მხარეებს შორის. ქვემოთ განხილული ყველა გარიგება დაკავშირებულ მხარესთან გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით ჩატარდა.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, დაუფარავი ნაშთები წლის ბოლოს და დაკავშირებული ხარჯების და შემოსავალი წლის განმავლობაში შემდეგია:

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	მშობელი საწარმო	სხვა (GCAP-ის კომპანიები)	მშობელი საწარმო	სხვა (GCAP-ის კომპანიები)
აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, მთლიანი	–	2,155	–	2,170
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო				
ზარალის რეზერვი	–	(1,000)	–	–
გადახდილი ავანსები	–	357	–	12
ანაზღაურებადი აქტივი ¹	–	1,900	–	1,900
ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები 1 იანვრის				
მდგომარეობით	509,231	–	446,279	–
ამონაგები ნასესხები სახსრებიდან და წლის				
განმავლობაში დარიცხული პროცენტი	44,781	–	71,316	–
წლის განმავლობაში ნასესხები სახსრების				
დაფარვა, პროცენტთან ერთად	(557,959)	–	(8,564)	–
უცხოური ვალუტის გაცვლის ეფექტი				
ნასესხებ სახსრებზე	3,919	–	200	–
სხვა	28	–	–	–
ნასესხები სახსრები	–	–	509,231	–
31 დეკემბრის მდგომარეობით	–	–	–	–
მიღებული ავანსები	–	60	–	46
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	42	152	394	147

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

4. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	2024		2023	
	მშობელი საწარმო	სხვა (GCAP-ის კომპანიები)	მშობელი საწარმო	სხვა (GCAP-ის კომპანიები)
შემოსავალი და ხარჯები				
ამონაგები წყალმომარაგებიდან	–	2,419	–	1,810
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო ²	(1,494)	–	(1,353)	–
სხვა საოპერაციო ხარჯები ³	–	(6,441)	–	(2,721)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	–	(1,000)	–	–
ფინანსური დანახარჯები	(22,586)	–	(33,741)	–

- 2023 წელს ჯგუფმა 1,900 ლარი აღიარა, როგორც სადაზღვევო ანაზღაურების ვალდებულება სხვა მესამე მხარისგან, რომელიც წარდგენილია 2023 წლის მოგება-ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯებიდან დაქვითვის სახით (24-ე და 22-ე განმარტებითი შენიშვნები). 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თანხები კვლავ დაუფარავია.
- 2024 წელს ჯგუფმა გასწია 4,382 ლარი (2023 წ.: 3,130 ლარი) მართვის მომსახურების ღირებულება მშობელი საწარმოს მიმართ, საიდანაც 1,494 ლარი (2023 წ.: 1,353 ლარი) აღიარებული იყო, როგორც პროფესიული მომსახურების გასამრჯელო მოგება-ზარალში, ხოლო 2,888 ლარი (2023 წ.: 1,777 ლარი) კაპიტალიზებული იყო აქტივების თვითღირებულებაში.
- სხვა საოპერაციო დანახარჯები მეტწილად მოიცავს სადაზღვევო ხარჯს.

დირექტორების ანაზღაურება

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2024 და 2023 წლებში მოიცავდა სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ არააღმასრულებელ და აღმასრულებელ დირექტორებს. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის გადახდილი მთლიანი ანაზღაურება იყო შემდეგი:

	2024	2023
ხელფასები და სარგებელი	2,994	2,916
პრემიები	933	890
სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება	3,927	3,806

მართვის მომსახურებისთვის უშუალო მშობელი საწარმოს ანაზღაურებამ 4,382 ლარი (2023 წ.: 3,130 ლარი) შეადგინა.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება

ჯგუფი მიმართავს გარკვეულ განსჯას და შეფასებას, რაც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასება და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე (გარდა სამუშაო ვალუტის განსაზღვრებასთან დაკავშირებულისა (მე-2 შენიშვნა)), ასევე შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება (გაგრძელება)**საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება**

ჯგუფი მისი საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარე შემფასებელი ექსპერტის ჩართულობით. უძრავი ქონების ბაზარი საქართველოში შედარებით არალიკვიდურია და შესაბამისი შეფასებები საჭიროებს მსჯელობას განსახორციელებელი მნიშვნელოვანი არაემპირიული სამემფასებლო ამოსავალი მონაცემების შესახებ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების სამართლიანმა ღირებულებამ 11,358 ლარი (2023 წ.: 9,297 ლარი) შეადგინა (მე-8 განმარტებითი შენიშვნა).

ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორები

ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფაქტები და ვითარებები იმის შეფასებაში, საჭირო იყო თუ არა წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მომსახურების სეგმენტის აქტივების (რომლებიც წარმოადგენს ჯგუფის ერთ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს) გაუფასურება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დაასკვნა, რომ გაუფასურების მაჩვენებლები არ არსებობდა. შეფასებაში ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი მოსაზრება და დაშვება იმაში მდგომარეობდა, რომ წყალმომარაგების ტარიფის მოდელი საქართველოში ისეთი ფორმით არის დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს ინვესტორი წინასწარ განსაზღვრული უკუგებით მარეგულირებელი აქტივის ბაზაზე და საოპერაციო დანახარჯებზე და ის, როგორც ასეთი არ არის მგრძნობიარე გრძელვადიან პერიოდში წყალმომარაგების მოცულობაში არსებული მერყეობების და საოპერაციო დანახარჯების მიმართ. მარეგულირებლის ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად, წყლის გაყიდვის მოცულობის და მარეგულირებლის მიერ ბიუჯეტირებული ნებადართული საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ცვალებადობა მიმდინარე სატარიფო პერიოდში (2024-2026 წლები) გამოყენებული იქნება მომდევნო 2026-2028 წლების პერიოდში ფულის დროითი ღირებულების შესაბამისი კომპონენტთან მიმართებით. უკუგების მარეგულირებელი ნორმა ასევე კორექტირდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით, რაც შესაბამისად ასუსტებს 2024 წელს დაფიქსირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვნად ზრდის გავლენას. იგივე მეთოდოლოგია გამოიყენებოდა 2024-2026 წლების სატარიფო ციკლისთვის ტარიფების განსაზღვრისთვის, რომელმაც დაახლოებით 40%-ით გაზარდა იურიდიული პირების ტარიფები, 2024 წლის განმავლობაში იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან ამონაგების შესაბამისი ზრდით. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობდა გაუფასურების ან მისი გაუქმების ნიშნები.

წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, ასევე შემდგომი შეფასება იმისა, არსებობს თუ არა გაუფასურება ან ადრე აღიარებული გაუფასურების გაუქმება, საჭიროებს მნიშვნელოვან მსჯელობას შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრის და მისი შემდგომი ცვლილებების შესაფასებლად, წყალმომარაგების ტარიფებთან მიმართებაში არსებული მოლოდინების შემუშავებას, რომლებიც გამოიყენება შემდგომ პერიოდებთან (მათ შორის დაშვებები კონკრეტული კაპიტალისა და საოპერაციო დანახარჯების, ასევე კაპიტალის მარეგულირებელი საშუალო შეწონილი ღირებულების ჩათვლით), მიწოდებული წყლის მოსალოდნელ მოცულობასთან და საპროგნოზო საოპერაციო დანახარჯებთან, ასევე ტექნომსახურების კაპიტალურ დანახარჯებთან და სხვა შესაბამის გაუფასურებისა და აღდგენის მაჩვენებლებთან მიმართებაში (მე-7 განმარტებითი შენიშვნა).

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული მუხლის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის განსჯაზე, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დამკვლევას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ამ პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების კორექტირება. ახალი შესყიდვების სასარგებლო მომსახურების ვადები სემეკი-ს მოთხოვნების გათვალისწინებით დგინდება.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება (გაგრძელება)**სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**

ჯგუფმა გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებული მეთოდი. სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება ჯგუფის მიერ კონკრეტული მომხმარებლისგან თანხების ამოღების შესაძლებლობის შეფასებას. ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ ჯგუფი სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიური შეფასების მიზნით, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია თითოეული კონტრაქტის ამონაგების კლასების, ვადაგადაცილებული დღეების და აქტიური/პასიური სტატუსის მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ასეთი აქტივების ჯგუფების სამომავლო ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად, რადგან მიანიშნებს დებიტორების უნარზე, გადაიხადონ დავალიანება სრულად შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების თანახმად.

თითოეულ საანგარიშგებო თარიღში ახლდება წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთები და ანალიზდება ცვლილებები საპროგნოზო შეფასებებში. წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთების, საპროგნოზო ეკონომიკური პირობების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანაფარდობის განსაზღვრა მნიშვნელოვანი შეფასებაა. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა მგრძნობიარეა ვითარებების და, იშვიათ შემთხვევაში, საპროგნოზო ეკონომიკური პირობების ცვლილებების მიმართ. 2024 წელს, საქართველოში ეკონომიკური პირობების პროგნოზის საფუძველზე, რომლებიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ტურბულენტობას უკავშირდება, ჯგუფმა აღიარა 2,700 ლარის ოდენობით დამატებითი საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იურიდიული პირების მიმართ მოთხოვნებზე, რადგან ის მოელოდა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის გაუარესებას, რაც, თავის მხრივ, ფულადი სახსრების მიღებას შეამცირებდა. ჯგუფის საკრედიტო ზარალის განვლილი გამოცდილება და ეკონომიკური პირობების პროგნოზი შესაძლოა არ იყოს მომავალში მომხმარებლის ფაქტობრივი დეფოლტების განმსაზღვრელი (მე-11 განმარტებითი შენიშვნა).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით აღიარებულმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხამ 58,869 ლარი (2023 წ.: 46,309 ლარი) შეადგინა (მე-11 განმარტებითი შენიშვნა).

6. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ

ხელმძღვანელობამ ჯგუფი შემდეგ ორ საოპერაციო სეგმენტად დაყო გაყიდული პროდუქტების და გაწეული მომსახურებების მიხედვით:

ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა

სეგმენტი ფლობს ჰიდროელექტროსადგურებს, რომლებიც ელექტროენერგიას გამოიმუშავენ საკუთარი მოხმარების და გარე მომხმარებლებზე გაყიდვის მიზნით.

წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებები

ეს სეგმენტი გასწევს წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებებს, რომელიც ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს.

ხელმძღვანელობა განცალკევებით აკონტროლებს მისი სეგმენტების საოპერაციო საქმიანობის შედეგებს რესურსების განაწილების და შესრულების მაჩვენებლების შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სეგმენტის საქმიანობის შედეგი, როგორც ქვემოთ არის განხილული, ფასდება ფასს (IFRS) სტანდარტების შესაბამისად, იგივე ფორმით, როგორც მოგება ან ზარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)**წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებები (გაგრძელება)**

გარიგებები სეგმენტებს შორის აღირიცხება ფაქტობრივი გარიგების ფასით, წყალმომარაგებისთვის საჭირო ელექტროენერგიის სავარაუდო გაყიდვების გამოკლებით, რომელიც ფასდება სემეკის წყალმომარაგების ტარიფის განსაზღვრაში გამოყენებული რეგულაციებით.

ჯგუფის ოპერაციები საქართველოშია კონცენტრირებული. ჯგუფის ყველა გრძელვადიანი აქტივი საქართველოში მდებარეობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების ფინანსური შედეგები 31 დეკემბრით დასრულებული 2024 წლისთვის:

	ელექტროენერ- გიის გამომუშა- ვება და გაყიდვა	წყალმომარაგე- ბის და ჩამდი- ნარე წყლების მომსახურებები	ოპერაციები სეგმენტებს შორის	სულ
ამონაგები წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან	–	253,406	–	253,406
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან ¹	40,678	–	(5,922)	34,756
სხვა ამონაგები	–	1,187	–	1,187
სულ ამონაგები	40,678	254,593	(5,922)	289,349
ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები	(520)	(26,242)	5,922	(20,840)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(2,499)	(31,046)	–	(33,545)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	–	(15,076)	–	(15,076)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(53)	(8,302)	–	(8,355)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(162)	(6,041)	–	(6,203)
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	(105)	(3,366)	–	(3,471)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალა	(155)	(3,573)	–	(3,728)
ტექნომომსახურების დანახარჯი	(33)	(2,872)	–	(2,905)
ანარიცხების გაუქმება და სასამართლო დავებთან დაკავშირებული ხარჯები	–	731	–	731
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,607)	(11,109)	–	(15,716)
სხვა შემოსავალი	73	4,449	–	4,522
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)	32,617	152,146	–	184,763
ფინანსური შემოსავალი	–	4,664	–	4,664
ფინანსური დანახარჯები	–	(52,752)	–	(52,752)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	1	(23,415)	–	(23,414)
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,076)	(48,534)	–	(51,610)
წმინდა შემოსულობა გასვლიდან და ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	(4)	708	–	704
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	29,538	32,817	–	62,355
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–	–
პერიოდის მოგება	29,538	32,817	–	62,355

¹ ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული მთლიანი ამონაგების 79% ერთი მომხმარებლისგან მოდის.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)**წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებები (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების ფინანსური შედეგები 31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლისთვის:

	ელექტროენერ- გიის გამომუშა- ვება და გაყიდვა	წყალმომარაგე- ბის და ჩამდი- ნარე წყლების მოგროვების მომსახურებები	ოპერაციები სეგმენტებს შორის	სულ
ამონაგები წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან	–	190,969	–	190,969
ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან ²	33,372	–	(4,625)	28,747
სხვა ამონაგები	–	611	–	611
სულ ამონაგები	33,372	191,580	(4,625)	220,327
ელექტროენერგიის და გადაცემის დანახარჯები	(99)	(28,100)	4,625	(23,574)
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(2,074)	(25,563)	–	(27,637)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(226)	(7,088)	–	(7,314)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(39)	(9,448)	–	(9,487)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(195)	(5,436)	–	(5,631)
პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	(93)	(2,952)	–	(3,045)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალა	(104)	(3,534)	–	(3,638)
ტექნომსახურების დანახარჯი	(9)	(2,651)	–	(2,660)
ანარიცხების დარიცხვა და სასამართლო დავებთან დაკავშირებული ხარჯები	–	(913)	–	(913)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,097)	(8,347)	–	(12,444)
სხვა შემოსავალი	12	3,686	–	3,698
EBITDA	26,448	101,234	–	127,682
ფინანსური შემოსავალი	288	1,806	–	2,094
ფინანსური დანახარჯები	(1,470)	(32,860)	–	(34,330)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(19)	(143)	–	(162)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,216)	(40,682)	–	(42,898)
წმინდა ზარალი გასვლიდან და ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	(62)	(2,912)	–	(2,974)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე	22,969	26,443	–	49,412
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–	–	–
პერიოდის მოგება	22,969	26,443	–	49,412

² ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული მთლიანი ამონაგების 43% ერთი მომხმარებლისგან მოდის.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

6. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მოგროვების მომსახურებები (გაგრძელება)

ამონაგების და ხარჯის ელემენტების უმრავლესობა პირდაპირ მიკუთვნება შესაბამის სეგმენტებთან. ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული განაწილების პრინციპები და მეთოდები ამონაგების და ხარჯის ელემენტებისთვის, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება არ არის შესაბამის საოპერაციო სეგმენტებთან, იყო შემდეგი:

- ▶ **ამონაგები** – სეგმენტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, ამონაგები ადგილობრივად მოხმარებული ელექტროენერგიიდან (ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის და თეთრიხევის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოქმუშავებული) აღირიცხა სემეკის მიერ დადგენილი (2020 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული ბრძანება #82) რეგულირებული ტარიფით, რომელიც 2024 და 2023 წლებში მოქმედებდა.
- ▶ **ხელფასები და სარგებელი** - ხელფასების და სხვა სარგებლის დანახარჯები, ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილის გარდა, პირდაპირ უკავშირდება შესაბამის სეგმენტებს, ფაქტობრივი დანახარჯების საფუძველზე. ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები და სარგებელი პროპორციულად გადანაწილდება თანამშრომელთა რაოდენობაზე ყოველ საოპერაციო სეგმენტში.
- ▶ **საპროცენტო შემოსავალი, ფინანსური დანახარჯები და დაკავშირებული საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/ზარალი** გადანაწილებულია თითოეული სეგმენტის მიერ მიღებული ნასესხები სახსრების თანხის შესაბამისად.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

2024 წელს ძირითად საშუალებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	7,431	45,045	1,083,763	41,047	12,521	54,755	1,244,562
შესყიდვები	–	7	36,127	105	459	143,809	180,507
გასვლა	–	(113)	(7,957)	(2,402)	(310)	(42)	(10,824)
გადატანები	175	722	133,917	11,877	701	(147,392)	–
2024 წლის 31 დეკემბერი	7,606	45,661	1,245,850	50,627	13,371	51,130	1,414,245
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2023 წლის 31 დეკემბერი	352	11,792	358,072	22,477	8,430	–	401,123
ცვეთის დარიცხვა	–	730	43,785	3,840	1,048	–	49,403
გასვლა	–	(36)	(7,806)	(2,028)	(287)	–	(10,157)
2024 წლის 31 დეკემბერი	352	12,486	394,051	24,289	9,191	–	440,369
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2023 წლის 31 დეკემბერი	7,079	33,253	725,691	18,570	4,091	54,755	843,439
2024 წლის 31 დეკემბერი	7,254	33,175	851,799	26,338	4,180	51,130	973,876

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 წელს ძირითად საშუალებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	7,033	41,287	910,772	35,581	11,034	34,733	1,040,440
შესყიდვები	–	131	28,371	180	240	179,142	208,064
გასვლა	(1)	–	(28)	(1,165)	(38)	(2,710)	(3,942)
გადატანები	399	3,627	144,648	6,451	1,285	(156,410)	0
2023 წლის 31 დეკემბერი	7,431	45,045	1,083,763	41,047	12,521	54,755	1,244,562
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 2022 წლის 31 დეკემბერი	352	11,054	324,252	17,735	7,460	–	360,853
ცვეთის დარიცხვა	–	738	33,829	5,538	987	–	41,092
გასვლა	–	–	(9)	(796)	(17)	–	(822)
2023 წლის 31 დეკემბერი	352	11,792	358,072	22,477	8,430	–	401,123
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	6,681	30,233	586,520	17,846	3,574	34,733	679,587
2023 წლის 31 დეკემბერი	7,079	33,253	725,691	18,570	4,091	54,755	843,439

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის არცერთი ძირითადი საშუალება არ არის დაგირავებული ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის სახით.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

8. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა-ნაგებობები	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,677	691	7,368
წმინდა შემოსულობა (ზარალი) სამართლიანი ღირებულების ხელახალი შეფასებიდან	1,990	(60)	1,930
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,667	630	9,297
დამატებები	178	–	178
წმინდა შემოსულობა სამართლიანი ღირებულების ხელახალი შეფასებიდან	1,710	173	1,883
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,555	803	11,358

სამართლიანი ღირებულების შეფასება

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ჩატარებული ბოლო შეფასების თარიღია 2024 წლის 30 ნოემბერი, გამოყენებული შეფასების მეთოდები შეესაბამება საერთაშორისო შეფასების სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებულს, რომლებიც შეესაბამება ფასს (IFRS) 13-ს („სამართლიანი ღირებულების შეფასება“) და თანმიმდევრულად გამოიყენება.

საინვესტიციო ქონების უმრავლესობასთან მიმართებით გამოყენებული შეფასების მეთოდია საბაზრო მიდგომა. კონკრეტული ქონება შეფასდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შემოსავლის და დანახარჯების მიდგომების გამოყენებით. ჯგუფი რამდენიმე ქონებას იყენებს უმაღლესი და საუკეთესო გამოყენებისგან განსხვავებული ფორმით, რადგან ჯგუფი გეგმავს მათ გაყიდვას და არ გეგმავს კაპიტალური დანახარჯების გაწევას პროექტებზე, რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს სემკის მიერ რეგულირებული ჯგუფის ძირითადი ბიზნეს საქმიანობისგან.

საბაზრო მიდგომა

ეს მეთოდი ეფუძნება სამიზნე ქონების სხვა ქონებასთან შედარებას, რომელიც გაიყიდა ან აღრიცხულია გაყიდვის რეესტრში. ღირებულების კორექტირება მეტწილად განისაზღვრება შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: (1) ფიზიკური მდგომარეობა, (2) ადგილმდებარეობა, (3) უმაღლესი და საუკეთესო გამოყენება და (4) ქონების გირავნობა.

შემოსავლის მიდგომა

კომპანიის საინვესტიციო ქონების რამდენიმე მუხლი იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე. მსგავსი ქონების ბაზარი არ იძლევა მათი სამართლიანი ღირებულების განსასაზღვრად ბაზარზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების მტკიცებულებას. შესაბამისად, ამ მუხლებისთვის, ქონების სამართლიანი ღირებულება უპირატესად განისაზღვრა შემოსავლის მიდგომის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია სამართლიანი ღირებულების დაანგარიშებაში გამოყენებული დაშვებები: (1) ერთი კვადრატული მეტრის სამართლიანი ღირებულება, (2) დისკონტირების განაკვეთის დაანგარიშება – დისკონტირების განაკვეთის დაანგარიშება მოხდა შემოსავლიანობაზე საშუალო ზრდის ტემპის დამატებით.

შეფასების მეთოდი და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს. ამოსავალ მონაცემებში გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილების მომატებული მგრძნობელობა ასეთია:

საინვესტიციო ქონების კლასი	სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების მეთოდი	გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები	ამოსავალი მონაცემების ღირებულება / დიაპაზონი / საშუალო შეწონილი
მიწის ნაკვეთები	10,555	შემოსავლის მიდგომა საბაზრო მიდგომა დანახარჯების მიდგომა	დისკონტირების განაკვეთი, ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება, ქირის ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება,	12.22%; 0.019–1.517 (0.073); 0.55
შენობა-ნაგებობები	803	საბაზრო მიდგომა დანახარჯების მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება	0.246–1.638 (0.327)
სულ საინვესტიციო ქონება	11,358			

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

8. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)**სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

	სამართლიანი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შეფასების მეთოდი	გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები	ამოსავალი მონაცემების ღირებულება / დიაპაზონი / საშუალო შეწონილი
საინვესტიციო ქონების კლასი				
			დისკონტირების განაკვეთი, ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება,	12.31%;
მიწის ნაკვეთები	8,667	შემოსავლის მიდგომა საბაზრო მიდგომა საბაზრო	ქირის ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება,	0.013–1.336 (0.061);
შენობა-ნაგებობები	630	მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება	0.406
სულ საინვესტიციო ქონება	9,297			0. 198–1.569 (0.257)

ერთი კვადრატული მეტრის ფასის ზრდა ან შემცირება გამოიწვევდა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესაბამის ზრდას ან კლებას. დისკონტირების განაკვეთის ზრდა ან შემცირება გამოიწვევდა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესაბამის კლებას ან ზრდას.

9. სხვა აქტივები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
არამატერიალური აქტივები	3,430	1,996
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	3,907	3,456
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	7,337	5,452

არამატერიალური აქტივების პირვანდელმა ღირებულებამ და დაგროვილმა ამორტიზაციამ და გაუფასურებამ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 14,278 ლარი და 10,848 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 11,974 ლარი და 9,978 ლარი) შეადგინა, შესაბამისად.

2024 წელს არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დანარიცხმა 870 ლარი (2023 წ.: 1,055 ლარი) შეადგინა.

10. მარაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	5,601	5,250
საწვავი	860	450
სათადარიგო ნაწილები	373	380
შრომის უსაფრთხოების მასალები	586	272
სხვა მარაგები	590	590
სულ მარაგები	8,010	6,942

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი		
სავაჭრო მოთხოვნები წყალმომარაგების მომსახურებისთვის	116	200
მოსახლეობისგან	116	200
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(37)	(45)
სულ რესტრუქტურირებული სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	79	155
მოკლევადიანი		
სავაჭრო მოთხოვნები წყალმომარაგების მომსახურებისთვის	41,439	37,746
სავაჭრო მოთხოვნები წყალმომარაგების მომსახურებისთვის		
იურიდიული პირებისგან	31,249	23,239
სავაჭრო მოთხოვნები წყლის მრიცხველების მონტაჟისთვის	139	167
სავაჭრო მოთხოვნები მიერთების მომსახურებისთვის	6,837	4,005
სავაჭრო მოთხოვნები ელექტროენერგიის გაყიდვისთვის	1,978	1,214
	81,642	66,371
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(56,473)	(45,012)
სულ მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	25,169	21,360
სხვა მოთხოვნები	4,558	3,692
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,359)	(1,252)
სულ სხვა მოთხოვნები, წმინდა	2,199	2,441
სულ მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	27,368	23,801

სხვა მოთხოვნები მეტწილად უკავშირდება შემოსავალს, რომელიც არ ხვდება ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) ფარგლებში, მათ შორის უკანონო მიერთებებისთვის დაკისრებულ 921 ლარის (2023 წ.: 998 ლარი) ოდენობით ჯარიმებს.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,003 ლარის ოდენობით სხვა მოთხოვნები არის დაკავშირებული სს „საქართველოს კაპიტალის“ ქვეშ არსებული საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის გაწეული მართვის მომსახურებებთან და ის ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) ფარგლებში ხვდება. 1,000 ლარის ცვლილება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში სხვა მოთხოვნებისთვის 2024 და 2023 წლებში უკავშირდება ამ მართვის მომსახურებების მოთხოვნებისთვის აღრიცხულ ანარიცხს.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული და ლარშია გამოხატული.

ჯგუფს არ აქვს შიდა საკრედიტო შეფასების სისტემა მისი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის შესაფასებლად და ის საკრედიტო რისკის შეფასებას ახორციელებს ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი კლასების მიხედვით ასე გამოიყურება:

2024 წლის 31 დეკემბერი	30 დღეზე ნაკლები	20-60 დღე	61-90 დღე	91-ზე მეტი	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო					
ზარალის განაკვეთი	1.06%	29.61%	36.81%	100.00%	68.20%
დეფოლტის რისკის ქვეშ					
არსებული საბალანსო					
ღირებულება	26,299	760	1,410	57,847	86,316
მოსალოდნელი საკრედიტო	278	225	519	57,847	58,869
ზარალი					

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი კლასების მიხედვით ასე გამოიყურება:

2023 წლის 31 დეკემბერი	30 დღეზე ნაკლები	20-60 დღე	61-90 დღე	91-ზე მეტი	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.75%	21.95%	36.22%	97.61%	65.91%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული საბალანსო ღირებულება	20,513	2,570	751	46,429	70,263
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	154	564	272	45,319	46,309

ცვლილების დინამიკა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ასეთია:

	გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	39	40,425	40,464
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვა	5	7,310	7,315
ჩამოწერილი უიმედო ვალები	-	(1,472)	(1,472)
2023 წლის 31 დეკემბერი	44	46,263	46,307
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვა	(7)	15,083	15,076
ჩამოწერილი უიმედო ვალები	-	(2,514)	(2,514)
2024 წლის 31 დეკემბერი	37	58,832	58,869

2024 და 2023 წლებში ჯგუფმა ჩამოწერა სამზე მეტი წლის წინ წარმოშობილი კონკრეტული მომველებული მოთხოვნები. უიმედო ვალის ჩამოწერა განპირობებული იყო სასმელი წყლის მიწოდების და მოხმარების შესახებ შემეცნის მიერ გაცემული ბრძანების ცვლილებით, რომლის მიხედვითაც, მომხმარებლები თავისუფლდებოდნენ სამ წელზე ხანდაზმული თანხების გადახდის ვალდებულებისგან. ჩამოწერილი მოთხოვნები ადრე სრულად იყო დარეზერვებული.

12. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წესდება რამდენიმე კლასის ჩვეულებრივ აქციას მოიცავდა: კლასი A (55,032,421), კლასი B (16,933,053) და კლასი C (12,699,789, სრულად შეიძინა ჯგუფმა და ფლობს ხაზინაში). ჯგუფის წესდების და აქციონერთა ხელშეკრულების პირობებში განსაზღვრულია A და B კლასის აქციონერთა თანაბარი უფლება დივიდენდებზე, ამავდროულად განსაზღვრულია ხმის მიცემის პროტოკოლები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით A და B კლასის აქციონერებისთვის.

	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	ნომინალური ღირებულება
2022 წლის 31 დეკემბერი	84,665,263	84,666
2023 წლის 31 დეკემბერი	84,665,263	84,666
2024 წლის 31 დეკემბერი	84,665,263	84,666

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის აქციონერები იყვნენ შპს „აკვალა საქართველო“ და სს „საქართველოს კაპიტალი“, რომლებიც შესაბამისად ფლობდნენ 55,032 ლარს და 13,758 ლარს, ხოლო 15,875 ლარის გამოსყიდული აქციები განცალკევებით არის წარდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

12. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

გამოსყიდული აქციები

2022 წელს ჯგუფმა გამოსყიდა 15,875 ლარის საკუთარი აქციები (3,174,948 B კლასის აქცია და 12,699,789 C კლასის აქცია).

დივიდენდები

2024 და 2023 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი და სხვა რეზერვები

დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი ასახავს დასაქმებულ პირებზე, მათ შორის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციას წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით.

სხვა რეზერვები ასახავს უფლებამონაცვლეობით აქციებზე დაფუძნებული კომპენსაციის გარიგების ეფექტებს და არარეალიზებულ შემოსულობას/(ზარალს) არსებულ შვილობილ საწარმოებში არამაკონტროლებელი წილების მფლობელებთან ოპერაციებით მიღებულ არარეალიზებულ შემოსულობას/(ზარალს) და უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილ რეზერვს.

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი მოიცავს საინვესტიციო ქონებაში გადატანის მომენტში გადაფასებული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის თანხას.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან შეძლოს მფლობელებისთვის უკუგების მოტანის გაგრძელება, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ ჯგუფის საქმიანობა ხარჯთეფექტური იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით. ჯგუფი კაპიტალს განსაზღვრავს კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, როგორც საკუთარ კაპიტალს და ნასესხებ სახსრებს, ასევე გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომლებიც აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. არ არსებობს გარედან დაკისრებული კაპიტალური მოთხოვნები, რომლის საგანსაც წარმოადგენს ჯგუფი. საკუთარი კაპიტალი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 352,344 ლარი და 289,989 ლარი, შესაბამისად. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები იყო 796,810 ლარი და 511,899 ლარი, შესაბამისად.

2024 და 2023 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

13. ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	2024 წლის 31 დეკემბერი		2023 წლის 31 დეკემბერი	
	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	29,723	764,609	–	–
სესხები მშობელი საწარმოსგან	–	–	509,231	–
სესხები ქართული საფინანსო დაწესებულებებისგან	49	2,429	64	2,604
სულ ნასესხები სახსრები და გამოშვებული ობლიგაციები	29,772	767,038	509,295	2,604

13. ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობდა აშშ დოლარში გამოხატულ სესხს მშობელი საწარმოსგან 444,020 ლარის ოდენობით, 7.35% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და დაფარვის ვადით 2024 წლის 31 აგვისტოს, ასევე ევროში გამოხატულ სესხს მშობელი საწარმოსგან 65,211 ლარის ოდენობით, 7.6% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და დაფარვის ვადით 2024 წლის 31 დეკემბრის. 2024 წლის განმავლობაში, დაფარვის თარიღის დადგომამდე, განხორციელდა მშობელი საწარმოსგან აშშ დოლარში გამოხატულ სესხზე დარიცხული პროცენტის კაპიტალიზაცია ევროს სესხის საბალანსო ღირებულებაში, 21,203 ლარის ოდენობით.

2024 წლის 25 ივლისს ჯგუფმა გამოუშვა 300 მილიონი აშშ დოლარის მწვანე ობლიგაციები: უფროსი, არაუზრუნველყოფილი, აშშ დოლარში გამოხატული 8,875%-იანი მწვანე ობლიგაციები 5-წლიანი არაგაუქმებადი და 2-წლიანი ერთდროული დაფარვის ვადით (შემდგომში „ობლიგაციები“). ობლიგაციების გამოშვება და გაყიდვა განხორციელდა ნომინალური ღირებულებით. ობლიგაციები ირლანდიის საფონდო ბირჟის გლობალურ სავალუტო ბაზარზეა კოტირებული და საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოსგან „ფიტჩი“ მიღებული აქვს BB- (სტაბილური) რეიტინგი, ხოლო „S&P“-სგან „BB-“ (დადებითი). ობლიგაციებიდან შემოსულობა გამოყენებული იყო ჯგუფის არსებული აქციონერული სესხის რეფინანსირებისა და წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მომსახურებების კაპიტალური დანახარჯების ფინანსირებისთვის. ობლიგაციები უზრუნველყოფილია სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ ერთ-ერთი შვილობილი საწარმოს - შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ. ჯგუფმა გამოიყიდა 24 მილიონი აშშ დოლარის გამოშვებული ობლიგაციები და არ გეგმავს მათ ბაზარზე გაყიდვას განჭვრეტად მომავალში.

მწვანე ობლიგაციების გამოშვებისას ჯგუფის მიერ გაწეული საკომისიო საფასური და სხვა გარიგების დანახარჯები 10,469 ლარის ოდენობით კაპიტალიზებულია და შესულია გამოშვებული ობლიგაციების საბალანსო ღირებულებაში.

ობლიგაციების პირობებით ჯგუფს მოეთხოვება კონკრეტული ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც წელიწადში ორჯერ მოწმდება. ამგვარი ვალდებულება მოიცავს შემდეგი კოეფიციენტების შემოწმებას: სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ და თავდების კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების ფარდობას სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ და მისი შვილობილი საწარმოების კონსოლიდირებულ მთლიან აქტივებთან და სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ და თავდების კონსოლიდირებული EBITDA-ს ფარდობას სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ და მისი შვილობილი საწარმოების EBITDA-სთან. ჯგუფი შესაბამისობაშია ვალდებულებებთან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში არ მოელის რაიმე არსებით სირთულეს ვალდებულებებთან შესაბამისობის მხრივ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ნასესხები სახსრები მოიცავს ევროში გამოხატულ სესხებს ქართული ბანკებისგან 205 ლარის (2023 წ.: 227 ლარი) და აშშ დოლარში გამოხატულ სესხებს 2,273 ლარის (2023 წ.: 2,441 ლარი) ოდენობით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა აუთვისებელი საკრედიტო ხაზი მშობელი საწარმოსგან 114,449 ლარის ოდენობით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი არ იყო აუთვისებელი საკრედიტო ხაზები.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

13. ნასესხები სახსრები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ნასესხები სახსრები	სესხი მშობელი საწარმოსგან	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	საიჯარო ვალდებულ- ბები	სულ
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	2,931	446,279	–	344	449,554
საკუროს სხვაობით განპირობებული ზარალი	70	200	–	–	270
ფულადი სახსრების შემოსვლა	–	37,355	–	–	37,355
ფულადი სახსრების გასვლა	(118)	–	–	(735)	(853)
დარიცხული პროცენტი	162	33,961	–	111	34,234
გადახდილი პროცენტი	(175)	(8,564)	–	(111)	(8,850)
აქტივების გამოყენების უფლებაზე დამატებები	–	–	–	1,415	1,415
სხვა	(202)	–	–	640	438
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	2,668	509,231	–	1,664	513,563
საკუროს სხვაობით განპირობებული ზარალი	112	3,919	25,740	–	29,771
ფულადი სახსრების შემოსვლა (გარიგების დანახარჯების გამოკლებით)	–	21,952	804,376	–	826,328
ფულადი სახსრების გასვლა	(251)	(552,367)	–	(1,139)	(553,757)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	–	–	(65,426)	–	(65,426)
დარიცხული პროცენტი	150	22,586	29,826	148	52,710
გადახდილი პროცენტი	(128)	(5,592)	–	(148)	(5,868)
აქტივების გამოყენების უფლებაზე დამატებები	–	–	–	455	455
სხვა	(73)	271	(184)	20	34
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	2,478	–	794,332	1,000	797,810

14. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2024 წელს ჯგუფმა აღიარა 288,162 ლარის (2023 წ.: 219,716 ლარი) ოდენობით ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების დეზაგრეგირება ტიპების მიხედვით მოცემულია 2024 წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების მე-16 და მე-17 განმარტებით შენიშვნებში.

სახელშეკრულებო ნაშთი

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ნაშთები:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	25,248	21,515
სხვა მოთხოვნები	1,003	2,003
სულ	26,251	23,518
სახელშეკრულებო ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	27,115	26,252
გადავადებული ამონაგები	46,383	38,315
სულ	73,498	64,567

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

14. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**სახელშეკრულებო ნაშთი (გაგრძელება)**

2024 წელს ჯგუფმა აღიარა 6,129 ლარის (2023 წ.: 5,514 ლარი) ოდენობით ამონაგები, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებების გადატანას უკავშირდება.

2023 წელს ჯგუფმა გამოავლინა კონკრეტული მომხმარებლების წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მომსახურების აღრიცხვის განაკვეთებთან დაკავშირებული შემთხვევები. ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში და სახელშეკრულებო ვალდებულებებში 2023 წელს მოიცავდა სავაჭრო მოთხოვნებში შემცირებად აღიარებულ 392 ლარს, და მიღებული ავანსების ზრდად აღიარებულ 4,500 ლარს, 2023 წლის ამონაგებზე შესაბამისი გავლენით, რა გზითაც აისახა აღრიცხვის კორექტირების კუმულაციური ეფექტები ამ მომხმარებლისთვის. 2024 წელს მთლიან მოსახლეობაზე გავლენის შეფასება განახლდა 2024 წლის მოგება-ზარალზე უმნიშვნელო გავლენით.

დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებაზე გარიგების ფასის მინიჭება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ამონაგები, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში და უკავშირდება შესასრულებელ ვალდებულებებს, რომლებიც არ არის დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღში და გადავადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2025 წელს	2026 წელს	2027 წელს	3-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	სულ
ამონაგები, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე	7,356	6,845	6,620	11,171	14,391	46,383

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ამონაგები, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში და უკავშირდება შესასრულებელ ვალდებულებებს, რომლებიც არ არის დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღში და გადავადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024 წელს	2025 წელს	2026 წელს	3-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	სულ
ამონაგები, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე	6,129	5,809	5,354	9,676	11,347	38,315

ჯგუფი ფასს (IFRS) 15-ის პრაქტიკულ მიდგომას იყენებს და არ ამჟღავნებს ინფორმაციას დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ, რომელთა საწყისი მოსალოდნელი ვადაა 1 წელი ან ნაკლები:

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	10,128	9,177
გრძელვადიანი აქტივების ვალდებულება	5,124	16,164
ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ	4,481	2,479
სხვა ვალდებულებები	–	603
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,733	28,423

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები პროცენტისა არ არის და, ჩვეულებრივ, 60-დღიან ვადაში იფარება.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

16. ამონაგები წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან

	2024	2023
ამონაგები იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან	193,787	131,655
ამონაგები მოსახლეობის წყალმომარაგებიდან	52,793	53,285
სულ ამონაგები წყალმომარაგებიდან დაკავშირებული მომსახურებების ცვლილების განხორციელებამდე	246,580	184,940
დარიცხვები მიერთების მომსახურებებზე	6,536	5,781
დარიცხვები წყლის მრიცხველების მონტაჟზე	290	248
სულ ამონაგები წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან	253,406	190,969

17. ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან

	2024	2023
ამონაგები კომერციულ მომხმარებლებზე ელექტროენერგიის მიყიდვიდან	33,872	28,150
ამონაგები ელექტროენერგიის „ესკო“-ზე გაყიდვიდან	884	597
სულ ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან	34,756	28,747

18. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

	2024	2023
ხელფასები	30,512	26,076
ბონუსები	3,033	1,561
სულ ხელფასები და ბონუსები	33,545	27,637

19. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
დაცვის ხარჯები	2,618	1,612
კომუნალური ხარჯები	1,316	1,424
საკომუნიკაციო ხარჯები	598	576
საოფისე ხარჯები	787	760
სარეკლამო ხარჯები	594	1,029
წარმომადგენლობითი ხარჯები	128	79
სამივლინებო ხარჯი	162	151
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6,203	5,631

20. პროფესიული მომსახურების გასამრჯელო

	2024	2023
საკონსულტაციო ხარჯები	1,936	1,561
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	1,535	1,484
სულ პროფესიული მომსახურების გასამრჯელო	3,471	3,045

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

20. პროფესიული მომსახურების გასამრჯელო (გაგრძელება)**აუდიტორის ანაზღაურება**

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

	2024	2023
კომპანიის წლიური კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის საფასური 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	130	36
ჯგუფის 31 მარტით დასრულებული სამი თვის და 30 ივნისით დასრულებული		
ექვსი თვის შუალედური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური	217	–
ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული საფასური	909	–
შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	563	538
სულ აუდიტორის ანაზღაურება	1,819	574

21. სხვა შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი უკანონო მიერთების მომსახურებებზე დაკისრებული ჯარიმებიდან	1,338	749
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან (მე-8 განმარტებითი შენიშვნა)	1,883	1,930
წმინდა შემოსულობა მარაგების გაყიდვიდან	215	654
სხვა შემოსავალი	1,086	365
სულ სხვა შემოსავალი	4,522	3,698

22. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
სადაზღვევო ხარჯი	6,564	2,758
ქვითრების დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯები	1,756	1,567
ზიანის ანაზღაურება	2,330	4,394
მოსაკრებლები და ჯარიმები	1,010	1,052
რეგულირების საფასური	892	699
საიჯარო ხარჯები	1,311	806
სხვა ხარჯები	1,853	1,168
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	15,716	12,444

23. ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე	52,562	34,123
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიო	42	96
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	148	111
სულ ფინანსური დანახარჯები	52,752	34,330

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

24. პირობითი ვალდებულებები

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება მიმდინარეობს და ხელისუფლების ორგანოების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. ჯგუფი პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში. ვალდებულებების განსაზღვრასთან ერთად ისინი მაშინვე აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებულ რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო დავების ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, ვერ შეფასდება, მაგრამ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს. მიმდინარე აღსრულების ფარგლებში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოს დაზიანების მნიშვნელოვანი ვალდებულება არ არსებობს.

დაბეგვრა

საქართველოში საგადასახადო დეკლარაციები ღია რჩება და ექვემდებარება ინსპექტირებას სამ წლამდე ვადით. თუ ინსპექციის შედეგად დაფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების შემცირება, გადასახდელი ჯარიმები და საურავები შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს საგადასახადო ვალდებულებების არაზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ინსპექტირების შედეგებს არსებითი გავლენა ექნება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ან მისი ოპერაციების შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის გადახდილი და დარიცხული აქვს ყველა მოქმედი გადასახადი.

სასამართლო დავები

ჯგუფი რამდენიმე სასამართლო დავის მხარეა საქმიანობის ჩვეულ პროცესში. ჯგუფი ჩვეულებრივ იღებს დაზღვევას სარჩელების ჩვეულებრივ ტიპებზე, როგორც არის წყალმომარაგების ქსელის დაზიანებებთან დაკავშირებული შემთხვევები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა 5,275 ლარის ოდენობით ანარიცხი სასამართლო დავებზე და 1,900 ლარის ოდენობით ანაზღაურებადი აქტივი სადაზღვევო კომპანიისგან, ამგვარ სარჩელებთან მიმართებით.

25. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ანაზღაურება ბანკში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ბანკში განთავსებული ანაზღაურება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებს. ბანკში ნაღდი ფულის და ანაზღაურების ყველა ნაშთი მოკლევადიანია და ისინი გაუფასურებული არ არის. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობს მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია, გარდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (მე-11 განმარტებითი შენიშვნა).

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები და ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ საინვესტიციო ქონებას 11,358 ლარის ოდენობით (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონე) (2023 წლის 31 დეკემბრის: 9,297 ლარი).

ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის სამართლიანი ღირებულებაც ჯგუფმა გაამჟღავნა 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულებით ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც იყენებს ემპირიულ და არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს. მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებში ცვლილებები არ განხორციელებულა 2024 და 2023 წლებში.

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

25. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. არაკონტირებული ფიქსირებულ-პროცენტული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ოდენობით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა უმოქმედო ბაზარზე მოქმედ ფასებზე მიმართებით (მე-2 შენიშვნა). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიქსირებულგანაკვეთიანი ნასესხები სახსრების და ობლიგაციების სამართლიანმა ღირებულებამ 812,141 ლარი (2023 წ.: 504,620 ლარი) შეადგინა.

ხელმძღვანელობის შეფასებით ბანკში ნაღდი ფულის ნაშთის, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, რაზეც დიდად მოქმედებს ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადები.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფი გასწევს სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი ნაკადები იმერყევებს, უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების გამო. ჯგუფის ხელმძღვანელობა აკონტროლებს ღია სავალუტო პოზიციებს თითოეულ არსებით ვალუტაზე და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს უცხოურ ვალუტაში წარმოებულ გარიგებებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალუტო რისკი მეტწილად წარმოიშობა აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრებიდან, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან და ბანკში განთავსებული ანაზრებიდან (2023 წ.: აშშ დოლარში და ევროში გამოხატული ნასესხები სახსრები).

ვალუტა	გამყარება / გაუფასურება %-ში	ეფექტი მოგებაზე	გამყარება / გაუფასურება %-ში	ეფექტი მოგებაზე
	2024	2024	2023	2023
აშშ დოლარი	8.05%	(50,517)	18.84%	(84,112)
აშშ დოლარი	-2%	12,548	-18.84%	84,112
ევრო	N/A	N/A	27.37%	(17,910)
ევრო	N/A	N/A	-27.37%	17,910

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი გასწევს ზარალს, რადგან მისი მომხმარებლები, კლიენტები ან კონტრაქტები ვერ შეასრულებენ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და ანაზრები ბანკში: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 219,412 ლარის ოდენობით მთლიანი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან და ბანკში განთავსებული ანაზრებიდან 211,243 ლარი დაცული იყო ბანკებში, რომლებსაც „Standard & Poor’s“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ „BB-“ რეიტინგი, „Moody’s“-სგან „Ba3“, ხოლო „ფიტჩის“ სარეიტინგო სააგენტოსგან - „BB-“.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,282 ლარის ოდენობით ბანკში ნაღდი ფულის ნაშთიდან, 6,866 ლარი დაცული იყო ბანკებში, რომლებსაც „Standard & Poor’s“ სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ „BB/bb“ რეიტინგი, „Moody’s“-სგან - „B1/NP“ (FC) და „Ba3/NP“ (LC), ხოლო „ფიტჩის“ სარეიტინგო სააგენტოსგან „BB/bb“.

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-11 განმარტებითი შენიშვნა).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

25. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)

ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი მუდმივად კონტროლდება, საკრედიტო ხარისხის ნებისმიერი პოტენციური ნეგატიური ცვლილებების გამოსავლენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა საკრედიტო ხარისხს აკონტროლებს ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება საუკეთესოდ უჩვენებს მათი დამახასიათებელი საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზომას.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვის აკონტროლებს ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს სავალო ფასიან ქაღალდებს, ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	1 წელზე ნაკლები	1–3 წელი	3–5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
2024 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი					
ნასესხები სახსრები და გამოშვებული					
ობლიგაციები	69,211	138,422	913,099	736	1,121,468
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,733	–	–	–	19,733
საიჯარო ვალდებულებები	146	854	–	–	1,000
სულ მომავალი გადახდები	89,090	139,276	913,099	736	1,142,201
2023 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი					
ნასესხები სახსრები	536,546	882	881	1,150	539,459
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	28,423	–	–	–	28,423
საიჯარო ვალდებულებები	152	1,512	–	–	1,664
სულ მომავალი გადახდები	565,121	2,394	881	1,150	569,546

ლიკვიდობის რისკის მართვისას ჯგუფის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფი შეძლებს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვას ნასესხებ სახსრებზე და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე მომავალი კუპონური საპროცენტო და ძირითადი თანხის გადახდების განხორციელებას ოპერაციებიდან ფულადი სახსრების შემოსვლის გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში ნასესხები სახსრების და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების რეფინანსირებით ან რესტრუქტურზაციით.

26. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელსაც შესაძლოა გამოეწვია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მისი თანმხლები განმარტებითი შენიშვნების კორექტირების ან გაცხადების საჭიროება.